№ 2666
ოთხშაბათი,
10 ნოემბერი

ცნ[illegible]ის ფურცელი

ოთხშა
10 ნოემბერი

72
ეროვნული ბიბლიოთეკა

აზეთი ღირს: წელიწადი—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და სხვ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი **„ცნობის ფურცელი"** მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი. || საზღვარ გარედ: ერთის წლით 9 მანეთი.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი **„მოამბე"** მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან. || საზღვარ გარედ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1მ. 20 კ.
ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"

უფასოდ გაეგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის," ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

„დონ-კიხოტი"
დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.
გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის"
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.
რედაქციის კანცელარიის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

8 ნოემბერს გარდაიცვალა
კნ. ნინო სარდიონის ასული მაღალაშვილისა,
რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი მისი გრიგოლ გრიგოლისძე შვილებით. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზედ. წყნეთის ქ., სახლი გაბაშვილისა № 2. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (2—372—1)

8 ნოემბერს გარდაიცვალა
კნეინა ნინო სარდიონის ასული მაღალაშვილისა
რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მისი ძმები აპოლონ, ლეონიდ, ვლადიმერ და სარდიონ სარდიონის ძენი ალექსეევ მესხიშვილები თავიანთ მეუღლეებით. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, წყნეთის ქუჩა, № 2. (2—373—2)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.
ოთხშაბათს, 10 ნოემბერს, მესამე აბონემენტის რიცხვში ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად შემდეგი ახალი პიესები
I **ივდითი** ტრაგ. 5 მოქ. თხზ. ჯიაკომეტისა, თარ. ი. მაჭავარიანისა.
II **ნაპერწკალი** კომ. 1 მოქმ. თხზ. პილერონისა. თარგ. ა. ახნაზაროვისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ტ. აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ნ. მესხი, ჩხეიძე; ბ-ნნი: გუნია, ივანიძე, სვიმონიძე, საფაროვი, შალიკაშვილი, შათირიშვილი, წუწუნავა და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე. ადმინისტრაცია ამხანაგობისა.
მზადდება წარმოსადგენად „იულიუს კეისარი", „მედეა", „ერნანი" და სხვ. (3—უ—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
ექიმები:
ა. მ. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. ეშლიმი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მძ. ქალი მ. ა. ოსხილიანი.—ქალისა და საზეპით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
გ. ა. გიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
დ. მ. მონინი.—ქალისა, საზეპით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
გ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. მ. ხოჯოლამაძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
გ. მ. ხოჯოლამაძე.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ხ. დამიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში ავადმყოფები მიიღებათ. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, მელიკოვ-ნიკოლაევსკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible]ელის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ი. გამბურგერი
რიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის, სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—4)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—28)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—17)

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—7)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
8 ნოემბერი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშები 7 ნოემბერს: 1. „3 ნოემბრის ღამეს მზვერავთა რაზმმა, პორუჩიკის ვადეცკის უფროსობით, დაზვერა მტრის ჯარის ადგილი ჩვენის მარცხენა ფრთის პირდაპირ. ამ ადგილას რაზმმა ნახა 25 ქვეითა და ცხენოსანი იაპონელი, რომელთაც განმარტოებით ჩინელის ქოხი ეპყრათ. პორუჩიკმა ვადეცკიმ გამოიხმო რაზმიდან ოთხი მსურველი, მისცა მათ პიროქსილინის ყუმბარა და დაავალა იაპონელთა მიერ დაჭერილ ქოხის აფეთქება. სალდათები შეუმჩნევლად მიეპარნენ ქოხს, სახურავზე დაამაგრეს პიროქსილინის ყუმბარა, შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს და უკან დაბრუნდნენ. რამდენისამე ხნის შემდეგ აფეთქება მოხდა და ქოხი საძირკვლამდე დაიქცა. ამან ხალხი შეაშფოთა და ასტყდა სროლა მტრის მთელ ფრონტზე. ქოხთან მალე გაჩნდა იაპონელთა ერთი როტა, რომელსაც მხოლოდ გვამები დახვდა. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობას".

2. „6 ნოემბერს ღამეს ბრძოლის შესახებ მოხსენებები არ მიმიღია. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას".

პენზა, მანჯურიის მეორე არმიის უფროსმა გენერალმა გრიპენბერგმა ჩვენ ქალაქზე გაიარა. ჯარი ალტაცებით ეგებება და აცილებს გენერალს.

ჩიფუ, 8 ნოემბერი („რეიტერი"). დალნიდან ჩამოსული იაპონელი მოხელე აცხადებს, რომ იაპონელებს აღარ განუმეორებიათ პორტ-არტურზე იერიში. დალნში იმიტომ გავრცელდა ხმა იერიშის შესახებ, რომ არმიას მაშველი ჯარი გაუგზავნეს, სხვათა შორის, მოსული მე-7 დივიზიაც. ფიქრობენ, 3 ნოემბერს იმიტომ მოხდა აფეთქება, რომ მიწის ქვეშ სხვა-და-სხვა მხრიდან გაყვანილი გალერეები ერთმანეთს შეახვედრეს. 6 ნოემბერს მომხდარი აფეთქება უფრო მძლავრი იყო; ნამდვილად შეიტყეს, რომ რუსების საწყობები აფეთქდნენ. დალნში დარწმუნებული არიან, რომ შემდეგი იერიში წინანდელზე უფრო გამწვავებული იქნება, რადგან ნოგის მეტი მაშველი ჯარი გაუგზავნეს, ვიდრე ოიამას.—იაპონელები სიმაგრეებს აშენებენ გოლუბინაია ბუხტაში, რაიცა იმას მოასწავებს, რომ თვით იაპონელებს მოუხდებათ პორტ-არტურის დაცვა.

ტოკიო, 9 ნოემბერი („რეიტერი"). საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ 6 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე ცინდაოს ახლოს მიმავალმა ესკადრამ შეამჩნია გერმანიის გემი „ბატელინ"-ი, რომელიც პორტ-არტურში მიდიოდა. საკანონირო გემი „ტაცუტა" დაეწია „ბატელინ"-ს, რომელზედაც აღმოჩნდა ზამთრის ტანისამოსი, სააფთიაქო მასალა და ხორცის კონსერვები. კაპიტანმა გამოაცხადა, ნიუ-ჩუანში მივდიოდიო. იაპონელებმა საეჭვოდ მიიჩნიეს კაპიტანის სიტყვები და საქონელი და გემი სასებოში გაგზავნეს.

ფრიდრიხსჰაფენი, 8 ნოემბერი. რუსის ესკადრა გასულ ღამეს გაჩერდა სკაგენის ბუხტაში. როგორც ამბობენ, დღეს აქ დარჩება ნაღმიანი გემების ნახშირით დასატვირთავად და წყნარს ამინდს დაუცდის.

ჩიფუ, 8 ნოემბერი („რეიტ."). იაპონელებმა 5 თუ 6 ნოემბერს დაიწყეს პორტ-არტურის საერთო შტურმი. ამბობენ, იაპონელები ისე ჩუმად აკეთებენ თავიანთ საქმეს, რომ დალნში საქმის გარემოების გაგება ძნელია. 3 ნოემბერს აფეთქების ხმა მოისმა. ფიქრობენ, ააფეთქეს ფუგასები (ნაღმი) ან თოფის წამლის საწყობები.

ლონდონი, 8 ნოემბერი („რეიტერი"). ოკუს არმიაში მყოფი კორესპონდენტი იუწყება, რომ შახესთან უკანასკნელ დღეების განმავლობაში სიწყნარეა. რუსები დრო-გამოშვებით ისვრიან. ორივე არმია თხრილებს ეფარება, ერთმანეთთან ახლოს. პატარა შეტაკებები ჰქონდათ კავალერიასა და ქვეითა ჯარს. იაპონელთა ჯარი პირველ სიცივეს კარგად იტანს.

ტოკიო, 8 ნოემბერი („რეიტერი"). სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ იაპონელებმა ნაღმები ჩააწყეს და დაიჭირეს 6 ნოემბერს კონტრ-ესკარპი ერლუნგშანში.

მოსკოვი, 8 ნოემბერი. გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს თავ. ტრუბეცკოის: „6 ნოემბერს მუკდენის მიდამოებში დავათვალიერე თავად-აზნაურობის რაზმის მოწინავე მოძრავი საავადმყოფო, ურმები და სასანიტარო მატარებელი. ამ დაწესებულებათა გონივრულმა მოწყობამ და სრულმა წესიერებამ ძლიერ გამახარა. უკანასკნელ თვეში საავადმყოფოში 1250 სნეული და დაჭრილი შევიდა. იმედი მაქვს, რომ თავად-აზნაურობის რაზმი თავის საქველ-მოქმედო ღვაწლს ომის გათავებამდე განაგრძობს". თავადმა ტრუბეცკოიმ დეპეშითვე უპასუხა: „თავად-აზნაურობა გახარებულია, რომ ომის რაზმის მოწყობა და მოქმედება ასე ძვირად დააფასეთ. თავად-აზნაურობას ჰსურს თქვენ ხელ-ქვეით რუსის მხედრობას შრომა გაუადვილოს, იმედი აქვს, რომ სნეულ და დაჭრილ მეომრებს ომის გათავებამდე შემწეობას გაუწევს და დარწმუნებულია, რომ შორს აღარაა ის ნეტარი წამი, როცა რუსის მრისხანე მხედრობა მედგარ მტერსა სძლევს ხელმწიფისა და სამშობლოს სადიდებლად."

აღმოსავლეთ-ციმბირის მე-17 პოლკის როტის უფროსის შტაბს-კაპიტან იაკოვლევის აზრით, ჩრდილოეთ მანჯურიაში იქაურ ჰავის გამო საჭიროა ჯარს ციმბირული ფეხსაცმელი, ეგრედ წოდებული „ბროდნი-ვალენკი" დაურიგდეს. ბროდნი მუხლამდე ჰფარავს ფეხსა და ტყავი აქვს გადაკრული. სქელი ძირი აქვს.

ფრიდრიხსჰაფენი, 8 ნოემბერი. („რეიტ. სააგ.") კონტრ-ნაღმიანი გემი „პროზორლივი", რომელიც სკაგენთან მდგომ რუსის ესკადრას მისდევს, დღეს აქაურ ნავთ-სადგურში შევიდა ბულღის შესაკეთებლად.

ჰააგა, 3 ნოემბერი. სამედიატორო სასამართლოს პირველი სხდომა მოხდა იაპონიისა ერთის მხრივ და საფრანგეთისა, ინგლისისა და გერმანიისა—მეორის მხრივ დავის გასარჩევად იმ გადასახადის თაობაზე, რომელსაც იაპონია უცხოეთს კონცესიებს ართმევს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
9 ნოემბერი.

ჩიფუ, 8 ნოემბერი. ჩინეთის კრეისერ „ხაიუნგ"-ზე მყოფი „რასტოროპნი"-ს მეზღვაურები ჯერ არ გასულან შანჰაიდან. საბუთია ვიფიქროთ, რომ მალე ჩინეთსა, ინგლისსა და ამერიკას უთანხმოება მოუვიდეთ. უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელნი ჩიფუში ამბობენ, ამერიკელმა ადმირალმა გადაჭრით წინადადება მისცა „ხაიუნგ"-ის უფროსს, თუ იაპონელები „რასტოროპნი"-ს მეზღვაურების გაცემას მოითხოვენ, მაშინვე ზარბაზანი დაუშინეო. მეც დახმარებას გაგიწევ და ჩინეთის ნეიტრალიტეტის ხელშეუვალებლობას დავიცავო. გუშინ „ნიუ-ორლეანს"-ი ზღვაში გავიდა. ბეჯითად ლაპარაკობენ, რომ იაპონელ ადმირალთან მოლაპარაკება გაიმართაო. გერმანულ ოფიციალურ წყაროს ცნობით, საბუთია ვიფიქროთ, რომ ინგლისის კრეისერი მოვიდა იაპონელების დასახმარებლად და ამერიკის საწინააღმდეგოდ.

მარშანსკი, 8 ნოემბერი. შორეულ-აღმოსავლეთს მიმავალმა გენ. გრიპენბერგმა გაიარა.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ნიუ-იორკ ჰერალდ"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: მანჯურიაში სამხედრო მოქმედება შედგა; ორივე არმია ერთმანეთის პირდაპირ დგას და მოწინავე რაზმების შეტაკების გარდა, სხვა ბრძოლა არა ხდება-რა. ნიუ-ჩუანში განუწყვეტლივ მაშველი ჯარი მოსდის მარშალ ოიამას. ცხადია, იაპონელები კარგის ამინდით სარგებლობენ და ცდილობენ მანჯურიაში რაც შეიძლება, მეტი ჯარი და სამხედრო და საკვები სურსათი გაგზავნონ, თორემ ზამთარში პორტები გაიყინება და ჯარისა და სურსათის გზავნა ისე ადვილი აღარ იქნება. იაპონიის მთავრობა კორეიაში ფუზანიდან მდ. გიალუმდე რკინის გზის დამთავრებას ცდილობს; ფუზანიდან სეულამდე გაათავეს კიდევაც და ეხლა ბეჯითად მუშაობენ, რომ რკინის გზა სეულიდან იალუმდეც მიიყვანონ. იალუდან ფინხუანჩენამდე, საიმაძიმდე და მდ. ტაიძიხემდე რამდენიმე თვის წინადვე გამართეს ვიწრო ლიანდაგიანი ტრამვაები. ცხადია, იაპონელები ზამთარში მაშველ ჯარსა და სურსათს კორეის რკინის გზით გაისტუმრებენ მანჯურიაში. („პ. ვ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ი იუწყება: მანჯურიისა და ციმბირის საავადმყოფოებში 86 ათასამდე დაჭრილი რუსი წევსო („რ. ლ.").

„რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ბ. ლოდიჟენსკი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ცხენების საჭმლის შოვნა ლამის ხათაბალად გახდეს. ფშვრიისა და ქერის მაგივრად შეიძლება ცხენებს გაოლიანი და ცერცვის კოპტონი აჭამონ, მაგრამ თივის მაგივრად კი სხვას ვერას იშოვნიან. უნდა იცოდეთ, რომ რუსის არმიას 400 ათასი ცხენი და ჯორი ჰყავს. ეჭვი არაა, მანჯურიაში გაოლიანსა და კოპტონის საკმაოდ იშოვიან, მაგრამ თივა კი ცოტაა. ჩუმიზის ბზეც ძნელი საშოვნელია, მეტადრე იქ, სადაც არმია დგას. სხვა და სხვა საქონლის გადატანაც ძლიერ გაძვირდა; 20—15 ვერსტის მანძილზე ჩინელები ფუთზე 60 კაპ. თხოულობენ. განა შეიძლება ამ ფასად ბზის გადატანა? უამისოდაც ძლიერ მატულობს ბზის ფასი... სამწუხაროდ, უცხოელი კორესპონდენტები ცუდის თვალით უცქერიან რუსის კორესპონდენტებს. უცხოელმა კორესპონდენტებმა ხელში ჩაიგდეს ერთად-ერთი რიგიანი სასტუმრო მუკდენში, რუსები სულ განდევნეს იქიდან და სხვა ხალხს მხოლოდ კენჭის ყრით უშვებენ სასტუმროში საცხოვრებლად. ყველაზე კადნიერად გერმანელები იქცევიან, არც თუ დანიელი კორესპონდენტი უვარდებათ... 3 ოქტომბერს მუკდენის მეციხოვნე ჯარის უფროსი გენ. მასლოვი მთავარ სარდლის ბძანებით ეტლით მუკდენის ცზიანცზიუნთან წავიდა და გენ.-ად. კუროპატკინის სახელით ჩინეთის ქვრივ დედოფლის დაბადების დღე მიულოცა. გენ. მასლოვს ყაზახთა კანვოი და დიპლომატიური მოხელე ახლდნენ. ცზიანცზიუნს დიდის ამბით მიეღო გენ. მასლოვი. ნადიმის დროს რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორისა, ჩინეთის ქვრივ დედოფლისა, რუსის მთავარ-სარდლისა, იმის ელჩისა და მუკდენის მეფის მოადგილის სადღეგრძელო დალიეს... ნათელი ამინდი დგას, ცივა...

იაპონელები კორეიაში 3 დივიზიის გაგზავნას აპირობენ. ეს სამი დივიზია რუსებს განდევნის კორეიდან და ვლადივოსტოკისაკენ გაემართება. („რ. ს.").

ამერიკული გაზ. „ევენინგ გლობ"-ი სწერს: იაპონიის ელჩმა ბარონმა გაიაშიმ გამოაცხადა, იაპონიას მანჯურიის დაჭერა არა სწადიან, ამიტომ შერიგების დროს იაპონია თითონაც გაიყვანს ჯარს მანჯურიიდან და რუსეთსაც ამასვე მოსთხოვსო. აქედან სჩანს, რომ გამარჯვებას თავბრუ არ დაუხვევია იაპონიისათვის და საქმეს დღესაც თვალხილულად უცქერის. („რ.").

გერმანული გაზ. „ტეგლიშე რუნდშაუ" იუწყება: ამას წინად ერთმა გერმანელმა ფირმამ 1 მილიონ მარკად გემი „ლან"-ი იყიდა გრაფ სტროგანოვისათვის. ამ დღეებში ეს გემი ლიბავას წავა და იქ კრეისერად გადააქცევენ. „ლანი" საათში 17 მილს გადის. („რ.").

რუსეთის საზღვაო სამინისტრომ ჯავშნიან გემ „ცესარევიჩ"-ის უფროსი პირველ რანგის კაპიტანი ივანოვი და კონტრ-ადმირალი მატუსევიჩი ავადმყოფობისა გამო ოთხის თვით დაითხოვა სამსახურიდან. „ცესარევიჩი" 28 ივლისს ბრძოლის შემდეგ ცინდაოში დგას; კაპიტანი ივანოვი და კ.-ადმ. მატუსევიჩიც იქა ცხოვრობენ. („რ. ლ.").

დეპეშიდან ვიცით, რომ 1 აგვისტოს ბრძოლის დროს დაზიანებული რუსის ჯავშნიანი კრეისერი პირველ კლასისა „გრომობოი" ხელ-ახლად დაზიანებულა. ამის

...დან დეპეშით ატყობინებენ ...ცაიგერ"-ს: 1 აგვისტოს ბრძოლის დროს დაზიანებული „გრომობოი" ...კეთეს და ზღვაში გაიყვანეს გამოსაცდელად. კრეისერი წყალ-ქვეშ კლდეს დაეჯახა, დაზიანდა და გვერდზე გადიხარა; სხვა გემები მოვიდნენ, კრეისერი ვლადივოსტოკში წაიყვანეს და ხელ-ახლად დოკში შეიყვანესო. („ნ. დ.").

მდ. შახეზე. მდ. შახეზე შედარებით ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბევრი დარწმუნებულია, იქნება გაზაფხულამდე ბრძოლა აღარ მოხდესო „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. დ. კ. სწერს: „ბოლოს დროს კორესპონდენტები იუწყებიან, ორივე მხარე —იაპონელები და რუსები—ერთმანერთს ბეჯითად უშენენ ზარბაზნებსაო, ყველაზე გაძლიერებული ზარბაზნის სროლა რუსის მარჯვენა ფრთაზეაო. ზოგიერთი რუსის კორესპოდენტი ხალხის დასამშვიდებლად ირწმუნება, „იაპონელებს წინ წამოსვლა და იერიშის მოტანა არ შეუძლიანთო". ყველას „ნოვოე ვრემია"-ს კორესპოდენტი აჯობებს: რუსები არტილერისტების გასავარჯიშებლად ისვრიან ზარბაზნებსაო. პირველად გვესმის, რომ ომის დროს სავარჯიშოდ ისვროდნენ ზარბაზნებს, მაგრამ „ნოვოე ვრემია"-ს კორესპოდენტი ადრე იუწყებოდა, რუსის არმიას ასის (!) ვერსტის სიგრძეზე უჭირავს პოზიციებიო, გამოსროლილი შრაპნელი არ გასქდა (მაშასადამე ტყვიითა და წამლით გატენილი დარჩა) რუსებმა პიროქსილინით გატენესო და სხვ. გამუდმებული ზარბაზნის სროლა მოასწავებს, რომ მალე დიდი ამბები მოხდება. მართლაც და ტყუილ-უბრალოდ რად გაისვრიან მელინიტის ყუმბარას, ტყუილ-უბრალოდ რად დაიხარჯავენ ასეთ ძვირ ყუმბარებს და მტერს არტილერიის პოზიციებს რად გაუგებინებენ. ეს ზარბაზნის სროლა, ვიმეორებ, იმის მომასწავებელია, რომ რომელიმე მხარე მალე იერიშის მიტანას აპირობს. ყველაზე გაძლიერებული ზარბაზნის სროლა რუსის მარჯვენა ფრთაზეა; აქედან სჩანს, რომ იაპონელები თავდაპირველად მდ. ხუნხეს პირად აპირობენ იერიშის მოტანას. მართალია მდ. შახეზე ერთი თვეა, რაც სამხედრო მოქმედება შეწყდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი სიჩუმეა და რამდენიც უფრო დიდ ხანს გასტანს ეს სიჩუმე, იმდენი უფრო საშინელი ბრძოლა მოხდება მდ. შახეზე. ორსავე მხარეს დიდძალი მაშველი ჯარი მოსდის. კერძო ცნობებიდან სჩანს, რომ მარშალ ოიამას ინკოუში ნიადაგ მაშველი ჯარი და სურსათი მოსდის, ამბობენ, რამდენიმე დივიზია კიდევაც მოუვიდაო. მართალია ესა, თუ არა, არ ვიცით, მაგრამ ეხლანდელ სიწყნარეს უსათუოდ ბოლო მოეღება, იქნება სულ მოულოდნელადაც მოელოს ბოლო... ხანდახან ფალავნები ეცემიან, მაგრამ ხელს ჩასჭიდებენ ერთმანეთს და შედგებიან.. კაცსა ჰგონია, ფალავნები სამუდამოდ ასე გაჩერდებიან და ვერც ერთი ვერ მოერევა მეორეს, ორივე თანასწორ ღონისა ყოფილაო... მაგრამ კიდევ ერთი წამი და ერთ-ერთი ფალავანი ძირს იშხლართება. რუსის და იაპონიის არმია სწორედ ამ ფალავნებივით გაჩერებულან მდ. შახეზე... უეჭველია მომავალ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ეს ბრძოლა მაინც მხოლოდ მუკდენის ბედს გადასწყვეტს... შემდეგშიაც მოხდება ბევრი დიდი ბრძოლა, რადგან რუსეთი და იაპონია დიდ ჯარსა ჰგზავნის მანჯურიაში, რუსეთს გაზაფხულამდე იქ 600—700 ათასი კაცი ეყოლება; უმაღლესის ბრძანებით ციმბირის რკინის გზაზე მეორე ლიანდაგი უნდა დაიგოს; ყველაფრიდან სჩანს, რომ რუსეთიც და იაპონიაც ბოლომდე აპირობენ ომსა და ბეჯითად ემზადებიან მომავალ წლისათვის. ზოგსა ჰგონია, ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ გაიმარჯვებს, იაპონიაც და რუსეთიც თანასწორ ღონისა გამოდგნენო. ამბობენ, იაპონელებმა სექტემბრის გასულსა და ოქტომბრის დამდეგსაც მედგარი იერიში მიიტანეს რუსის ჯარზე, მაგრამ მდ. შახეს იქით ველარ წავიდნენო. ეს შემცდარი აზრია. იაპონელები იმ დროს მომზადებულნი არ იყვნენ იერიშის მოსატანად. გენ. კუროპატკინი თითონ წავიდა იერიშით და მარშალი ოიამა მხოლოდ წინ მოეგება, თითონაც იერიშით წამოვიდა და რაკი რიგზე მოუმზადებელი არ იყო იერიშისათვის, მდ. შახემდე იარა და შედგა. მუდამ ასე როდი იქნება."

„რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. სწერს: როდის მოიტანენ იაპონელები იერიშს რუსის ჯარზე, ჯერ არა სჩანს. ისტორიაში კვლავაც მომხდარა, რომ მოპირდაპირეთა არმიები ერთმანეთის პირდაპირ ცამდგარან და რამდენიმე თვე ერთ ადგილას გაჩერებულან; ასე, მაგალითად, ამერიკის ჩრდილოეთ შტატებისა და სამხრეთ შტატების არმიები 1864 წელს, სამოქალაქო ომის დროს, მდ. პატომაკის პირად შედგნენ და რამდენიმე თვეს გაჩერდნენ; რუსისა და მოკავშირეთა (ფრანგებისა და ინგლისელების) არმიები 1855 წ. სევასტოპოლთან 4 თვეს იდგნენ გაჩერებულნი. ამ ჟამად საყურადღებო ისაა, რომ მანჯურიიდან მიღებული დეპეშები ხმას აღარ იღებენ გენ. კუროპატკინის გალაშქრებაზე; ლაპარაკი და კამათი მხოლოდ იმაზე-ღაა, როდის წამოვლენ იაპონელები იერიშითაო. პორტ-არტურის დახსნაზეც ჩამი-ჩუმი აღარაა". ბ. ს. კ. ჰფიქრობს, პირველად იერიშს რუსის არმიაზე გენ. ოკუს არმია მიიტანსო.

დიდ ოკეანის მეორე ესკადრა. ადმირალმა როჟესტვენსკიმ ოფიციალურად მოახსენა რუსეთ... სახლეთ შტაბს, 8 ოქტომბერს ორი ...ღმიანი გემი დაგვეცა, ზარბაზანი დავუშინეთ და ერთი ჩავძირეთო. „დეილი მეილ"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება კოპენჰაგენიდან: რუსის ესკადრამ რომ გემი ჩაძირა, შვეციის გემი „არესი" ყოფილაო. „არესი" ინგლისიდან შვეციის პორტ გეფლეში მიდიოდა ჩრდილოეთ ზღვით სწორედ იმ დღეს (8 ოქტომბერს), როცა რუსის ესკადრამ ზარბაზანი დაუშინა ინგლისელ მეთევზეებს და დღემდე არ მისულა დანიშნულ ადგილს, თუმცა ორის კვირის წინად უნდა მისულიყო. („რ.").

პორტ-არტური. „ბერლინერ ლოკალ-ანცაიგერ"-ი სწერს: პორტ-არტური ძლიერ გამაგრებულია და მეტად ძნელი ასაღებია. იაპონელები ამბობენ, იქნება დეკემბრის გასულს ავიღოთო. მაგრამ რუსის მეციხოვნე ჯარი მაინც საშინელ ყოფაშია. მუდმივი ზარბაზნის სროლა და სიცივე ძლიერ აწუხებს რუსებს. ქალაქის სახლებს ყველას შუშები დაუმტვრიეს. („ნ.").

ახალი ამბავი

◆ 5 და 6 ნოემბერს ბაქოში **ხოლერით** ავად გახდა რვა კაცი, მოკვდა სამი. ერევნის გუბერნიაში ამავე დღეს ავად გამხდარა თორმეტი კაცი, მომკვდარა სამი. წინანდელ ავადმყოფთაგან მომკვდარა 26 კაცი

◆ რადგან **ტფილისში ხოლერა გაჩნდა**, ქალაქის გამგეობამ გადასდო 1000 მანეთი საქალაქო სკოლებისთვის სამოვრებისა და სხვა მოწყობილების სასყიდლად, რომ ბავშვებს ჩაი ასვან.

◆ დაიბეჭდა და ამ ცოტა ხანში გასასყიდად დარიგდება „ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამოცემანი: „ქართულ მწერლობის ისტორია", თხზ. პროფესორის ა. ხახანაშვილისა; ვრცელი კედლის კალენდარი 1905 წლისა. გამგეობამ დაამზადა აგრეთვე ქართველ პოეტთა ლექსების კრებული ორ ტომად. კრებულებში ჩართული იქნება სურათები და ბიოგრაფიები საუკეთესო პოეტებისა. მეორე ტომი უკვე დაიბეჭდა, პირველი ტომი-კი, რადგან დიდია, ჯერ არ გათავებულა. დეკემბრის პირველ რიცხვებისათვის გამოვა აგრეთვე „საქართველოს კალენდარი".

◆ სოხუმიდან ბ-ნ ს. ხ. თურქიასაგან **აკაკი წერეთლის ფონდისთვის** მოგვივიდა ერთი თუმანი. ბ-ნი თურქია გვწერს, მომავალ წელსაც გადავიხდი თუმანსო.

◆ დღეს, 10 ოქტომბერს, სახაზინო თეატრში **ქართული წარმოდგენაა.** დანიშნულია წარმოდგენისთვის ორი ახალი პიესა: ჯიაკომეტის ტრაგედია „ივდითი", თარგმნილი ივ. მაჭავარიანის მიერ, და ერთ მოქმედებიანი კომედია „ნაპერწკალი", თარგმ. ახნაზარ... ნაწილი...

◆ გუშ... სასამართლო... გენერალ კოვალიოვ... კოვალიოვს ბრალდებოდა სამხედრო ექიმის ზაკუსინისათვის წამების მიყენება: გენერალმა, რომელიც ასხაბადში მსახურობდა, მიიწვია თავის სახლში ექიმი, ჯერ გაკიცხა და შემდეგ ყაზახ რუსებს როზგით აცემინა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო გენერალი უფლების გადამეტებაში და მიუსაჯა სამსახურიდან გამორიცხვა და ჩინ-ორდენების ჩამორთმევა, მაგრამ უმაღლეს მანიფესტის ძალით ეს უკანასკნელი სასჯელი ეპატია და მხოლოდ სამსახურიდან გამორიცხვა მიესაჯა.

◆ ნაფიცი ვექილი ბ-ნი კ. ი. **ქალანთაროვი** ბეჭდვითი სიტყვის მთავარ-გამგეობამ დაამტკიცა გაზ. „ნოვ. ობოზრ."-ს რედაქტორ-გამომცემლად.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ტფილისის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ქალაქში **პროსტიტუციის** თვალყურის გდების საქმე თვით-მმართველობას გადაეცეს. მთავრობამ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა, მაგრამ ოფიციალური მოწერილობა ამ საქმის შესახებ აგერ წელიწად ნახევარია არ მიუღია საგუბერნიო სამკურნალო გამგეობისაგან. ამის გამო ქალაქის გამგეობა შეეკითხა, შეგვატყობინეთ, რა მდგომარეობაშია ამ საქმის შესახებ გადაწყვეტილებაო.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოს დადგენილება ბავშვთა **საავადმყოფოს დაარსების** შესახებ იმ ასი ათას მანეთით, რომელიც ძმათა ზუბალაშვილებმა შესწირეს.

◆ **საქართველოს ეგზარხოსმა უწმ. სინოდისაგან** მოწერილობა მიიღო. სინოდი სწერს, ამ ბოლო დროს ძლიერ გამრავლდნენ ისეთი პირნი, რომელთაც სინოდისაგან არ მიუღიათ რწმუნებანი, ბარათები შემოწირულების შეგროვების შესახებ სხვა-და-სხვა მონასტრების სასარგებლოდ და ფულს-კი აგროვებენო. გარდა ამისა, წერილებსაც-კი ჰგზავნიან აქა-იქ და დახმარებას თხოულობენ. ამნაირ ყალბ პირებად, სხვათა შორის, სინოდმა ჯერ გამოარკვია სულ 6 კაცი: ვარლაამ ჩერნიშევი, მოსე ბურინი, მღვდელმონაზონი ინოკენტი, სიმონ ჩებოტარევი, მათე ვორონკოვი და ბერი პორფირი. ყველა ესენი სხვა-და-სხვა მონასტრების მამებად ასახელებენ თავიანთ თავს და დიდძალ ფულს აგროვებენ თურმე.

◆ როგორც ბათუმის **საქარხნო და სამთო-მადნეთ** საოლქო საკრებულო აცხადებს, ბათუმის ოლქის სამრეწველო დაწესებულებებში უბრალო მუშების საშუალო სამუშაო კასად დაწესებულია: დიდ მუშებისათვის კაც.—90 კაპ., ქალ.—75 კაპ.; მოზარდთათვის: კაც.—60 კ., ქალ.—60 კაპ.; მცირე წლოვანთათვის: ვაჟ.—30 კაპ., ქალ.—30 კაპ., სოხუმის ოლქში: დიდ მუშებისთვის: კაც.—1 მან., ქალ.—80 კაპ., მოზარდთათვის: კაც.—65 კაპ., ქალ.—55 კაპ, მცირე-წლოვანთათვის: ვაჟ.—30 კ., ქალ.—30 კაპ. ქალაქ ბათუმში: დიდ მუშებისთვის: კაც.—1 მ., ქალ.—85 კ.; მოზარდთათვის: კაც.—70 კ., ქალ.—60 კ.; მცირე წლოვანთათვის: ვაჟ.—40 კ., ქალი—40.

◆ 8 ნოემბერს ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა უმაღლეს სამხედრო სასამართლოს წევრი ინფანტერიის გენერალი ვ. ივ. გროდეკოვი.

◆ 11 ნოემბრისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია დავა შარაპნის მაზრის სოფელ ბოსლევის აბაშიძეებსა და სოფელ საგანის აბაშიძეებსა და ჯაფარიძეებს შორის ატეხილი დურევის მთის შესახებ. დურევის მთით სარგებლობდნენ საგანელი აბაშიძეები და ჯაფარიძეები. ბოსლეველმა და ერთმა ნაწილმა საგანის აბაშიძეებმა განაცხადეს, მთაში ჩვენც მონაწილენი ვართო და ამაზე ამტყდარი დავა ეს ათი წელიწადია სასამართლოებში სწარმოებს.

◆ 8 ნოემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობამ წინანდელი თავისი დადგენილება გააუქმა და დაადგინა უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოების თვალის სამკურნალოს სასარგებლოდ გადასდოს ყოველ წლობით ასი თუმანი.

◆ როგორც ტფილისის 1 ღამის თავშესაფარის ზედამხედველის ანგარიშიდანა სჩანს, ოქტომბერში თავშესაფარით უსარგებლნია 1437 ადამიანს. რუსი ყოფილა—589, სომეხი—582, ქართველი—210, პოლონელი—53.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში ტფილისის მცხოვრებმა სახელად არშაკმა (რომლის გვარი არ იციან) ახეთის მოედანზე სტეფანოვის სახლთან ჩხუბი აუტეხა სიღნაღის მოქალაქე ავაკოვს. ჩხუბის დროს არშაკმა ავაკოვი იარაღით სასიკვდილოდ მუცელში მძიმედ დასჭრა. ამ დროს დაჭრილს წაეშველა ტფილისის მოქალაქე დიმიტრი კანახინი, რომელიც არ არშაკმა მკლავში დასჭრა. დაჭრილები მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ კვირას, 7 ნოემბერს, სასახლის ქუჩაზე დ. სარაჯიშვილის სახლში გაქურდეს მაღაზია ვაჭრის იაგორ ამირაღოვისა. როგორც პოლიციის გამოძიებიდანა სჩანს, ბოროტ-მოქმედთ სახლის ეზოდან გაუღიათ ამირაღოვის მაღაზიის კარები. ქურდებს მოუხვეტიათ აბრეშუმისა, შალისა და სხვა მატერიები 1000 მანეთისა და გადამალულან. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს მეეზოვე ასატურ ერამოვზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

◆ როგორც სოფ. კარზახიდან (ახალქალაქის მაზრა) გვატყობინებენ, ამ სოფლის მცხოვრებთ სედრაკ მოსიკოვსა და ენოვკ ჩობნიანცს, როდესაც ისინი ახალქალაქიდან ბრუნდებოდნენ, სოფ. სულდასთან თავს დასხმიან 8 შეიარაღებული ცხენოსანი, ყველა თათრები, და რაც რამ ჰქონიათ, ფული, ტანსაცმელი თუ საქონელი, სულ გაუტაციათ.

◆ ტფილისის მცხოვრები იპოლიტე რასილკოვი 7 ნოემბერს წარმოდგენაზე ყოფილა ტფილისის საარტისო საზოგადოების თეატრში. თეატრის შესავალში რასილკოვისათვის ჯიბიდან 100 მანეთიანი ოქროს საათი ამოუცლიათ.

ფელეტონი

გურული გლეხის წერილი *)

იმას გამეტი აფერი გატკიანათ ჩემა გამჩენმა, რაისკამეი მე კი წერა და გარქა ამბების დაწყობა არ ვიცოდე, ისე რავარც აგი მეგაზეთეები ხართ. რაცხა სხვაფერ და გლახა გასაკლოვ სიტყვებს რომ წერთ, ხუთასი გზობა ენა კედამ მოვიტეხე იმის წაკითხვაზე! ჩვენში იმისანა საქმეს კი შობიან, რომე იმას დაწერა კაი იყო ეგება მომხთარიყვნ და მეორე გზობა წადარ ექნენ, მარა გინაა კაცი? გითამ გინცხა ქე ეწერება პაწას, მარა რაც უმეტესი საჭიროა, იმას ქე ტიებს. მე რომ დამეწერა იგი სხვანაირი სიტყვები, არ ვიცოდი ისე არ იქნებოდა მეგონა და ქე გიყავი მუნჯათ!

ამდონ ხანსაც ქე გკითხულობდი გაზეთს, მარა ახლა აგი აპონიე და რუსი რომ ეიშალენ, თლა შემიყვარდა. რომ მჯალ აი ნამუშაერი კაცი, პაწას დევისვენებ, დევიხეფსებ და მივადგები კითხვას (გაზეთს რეთი გინდა, იმდონს იშონი ჩვენსკენ), გკითხულობ და გკითხულობ შვა დამემდი. აგი კი მიკლია პაწაი გულს, ტრუობა რომ გტიდნიან მეგაზეთეებს: რომ წერთ ოცი და ორმოცი ათასი კაცი მოკლეს ჩხუბშიო ჩვენთანა არს ღმერთი! ბჭიორაი ხომ არ იყო, ამდონი კაცი რომ მიეკლენ?! რა ვიცი, ხოლოქში იმისანაი ბრიგინ-ბრიგინი გვქონდა და ამის მ ოცედიც არ მომკტარა! მარა ვინ იცის, იმფერი ბორჯეა ახლა, უთღიფერი იქნება.

ხო, იგი მინდოდა მეთქვა, ერთი ორი გზობა ამ გაზეთის კითხვაში ქე შევხთი ჩვენებურა დაწერილ ამბავს, იმისანაი კაი მიამა და გადამნარა გულზე, მეტი აღარ იქნება, იგი ამბავი რომ ჩაგაკირკიტეულე ჩვენებურა! ხოდა ამიზა ახლა მეც ქე გწერ რაცხაა აგი, თუ კი დამდოთ ხათრს და ამ ჩემ ამბავს სადხა ერთ კუთხეში მიაბუჯდვით. ნუ გამცინებთ, თუ რამე აბდღური წამომცდეს; ახლანდელ მდგომარეობაში მუთფი სულ რაფერ ვარ ცოცხალი, თვარა პაწაი შეცთომა მომეტეოდება. ამიზა რომე მჭალი ჩვენ აღარ გვაქ და დომი. ფურა ხომ რა, იმისგამეტი დღეი არ მიაკტა თქვენ ტერს, ჩვენ იგი არ გვაკტეს! სიმინდი იყო ჩვენი ერთად ერთი მარჩენალი და იგი რომ აღარ გვაქ თლათ შევიშალეთ კინდაცში. რომ გეიხედავ, აი შემამულეების მიწები რომ იყო უშველებელი, მამზაკუნები დიეპატრონენ და იგინი დახტუნაგენ ზეთ.

ძველი სიმინდი? ღმერთმა კაი დაგიბედა, ჩვენ იგი აღარ გქონდეს. რომ იყოს მაინც, ძალიი არ ჭამს, იმხელა ბუკის მატლებია შით! თუ გინდა იშონე ან ქონდეს რამე, ვინ შეგარჩენს? ბედლს აღარ კაცი გიტიებს გუშხობაკუს, ნალიას და სახლს. ბუდეზე კვერცხს ვერ მიასროთ, სანამდი დადებდეს ქათამი, იქამდი გამუაძრობენ! თუ წაი სამე, დაგხთებიან გზაზე და უკაცრავათ სიტყვაა, შალვრიანა უთღიფერს გაგაძრობენ. იმისთანაი დამე არ გეარს, ვინცხას რომ არ დიეცენ და არ წაარიოვან უთღიფერი. კაცის კლაი ორია შაურათ: გეიხედავ, ბრინგებენ ვინცხას, ააფშეკებენ ფეხს და დაატიებიებენ ტილვკვსავით ცოდ და ბაღანას!

ამფერი აფთრიაქებული დროა ახლა ჩვენში — ძაღლი პატრონს ვერ ცნობილობს და პატრონი ძაღლს და იმას მაინც აფერი ეშველა, ქორწოდები რომ იცვან ჩვენსკენ. თუ უმატებენ, თვარა დაკლება სადაა. „ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს მობოდა", რომ იტყვიან, ასეა სწორეთ. გეიხედავ, მიხვალ შინ, დაგხთება პაწაისაგან ათი ქორწილის წიგნი: პეტრიას ცოლი მოჰყავს, ათარმიზაი ათხოვს, ივანიკას ვინცხა შეილობილი ჰყავს და იგი უნდა გაათხოვს, კოჯასპორას ორი წლიწადი ცოცა გუუთხოვია და ახლა შობა ქორწილს. ამისთანაი სადხე და ყველაი გითხრის: „მობრძანდი და ჩემი ოჯახი ამხიარულეო". გინახავს ამისთანაი უხტობრობა? ერთი იგი იკითხე, კაძხო, ჩემ ოჯახში რა ამბავია? აქეთ ხუთასი გადასახადი მაქ, იგი ვერ გადამიხდია, აგერ გამომახაბაკავენ ოჯახს, ბადნები თითისავით შაშველი მყავს, იმის ფარა ვერ მიშონია, თითო პერანგი რომ უყიდო, შინ ჭადი არ მაქ. ქალი და ბაღანაი შიმშილით მიწყდება, და შენ გამომდგარხარ და მპაიჯობ: ჩემი ოჯახი ამხიარულე—ფარა მომიტანეო! გადარეული ხომ არ ხარ? ჩემი ოჯახი ვერ გამიხიარულებია, პაწაი მიკლია ფეტის გაცვებას და შენ მხიარულებას მიკვეთ? ვერ შეიტყვე, შე მამაცხონებული, რა ამბავია ქვეყანაზე—ხანკი რომ აღარ გვაქ არ კაცს? იგი ბედნიერობა თუ მოგესწრო, ქალს--კი ათხოვ, მე რადას მაწუხებ, ჩემი ჯაგრი მეყოფა...

აგერ გითქვათ ჩვენში და ამდონი ქორწილებარის ბრალია, ქე გიტ. ისე ეიწია ქალის გათხოვის მიზანდამ ჩვენში ამ ბოლოს, რომე მეტი აღარ იქნება. ათასი მანათი თვარ მიაკარი შენ ქალს ზრუგზე, ისე არ კაცი არ წეიყვანს, თუ გინდა მზის უნახავი იყოს! უწინ კაი, მოწონებს რომ ჰქონდა ჩვენში აზნაურობას, უძახის ქალს თუ ითხოვდა, იმას მაართუმდენ ფარას, თვარა ეძახი ეძახს პაწა მეზითვს მისცემდა, ფარაზე ვინ უხდიდა ბოდიშს. ახლა აზნაურის ქალის მიცემა (ზოგიერთის, ყველას ჯვარი სწერია) აფერი სახარბიელოა იმის მეტი, თვაფერი აქ და გეჩერდი ნასწავლებზე გადაარა. ყველაი იმას ცდილობს, რაცხაფერაი ჩემი ცოცაი ნასწავლ კაცს მივსცეო, აი ნასწავლები, ღმერთმა მშვიდობა მისცეს და, ბევრი ფარა თვარ მიე, ისე არ წეიყვანს ქალს. უღიფერი მომწონს ამ ნასწავლების, ამაზე კი მიკლია გულს: თუ კი კაი ნასწავლი ბძანდები და უღიფერი სიკეთე, შენ საფოფ ფარას მაინც-კი იშონი და ჩემი ნაცოდვავი რათ გინდა? თუ კი მოგეწონოს ჩემი ცოცაი, წეიყვანე და თუ რამე მაქ, ჩემითაც-კი მივსცემ. კი ვიცი, ვინცხა იტყვის: „მაინდა მაინც ნასწავლს რომ არ მისცე ქალი, არ იქნებაო".

ბარემდაი აქანაი ვიტყვი მაგიორს: ერთი რომე აღარც იგი უსწავლელები თხოულობენ უფაროთ ქალს, მარა აი კაი თუ გინდა აფერაა, შეიძლებს კაცი, ნამეტარი ბევრი არ უნდა. მარა ერთი ჩვენებურ ქალიშვილებს კითხე, წახობიან უსწავლელებს ან პაწა ნასწავლს? დუუხემებიან განათლებაათ, დუუკორკოტინებიან, თავზე რაცხა შაპკაათ, ყვავის საფთხურს რომ კავს, ნახევარს შინ ხინკი არა აქ და ყველაი იძახის, სტუდენტი მინდა ქმრათო! კაი დაგემართოს განათლება კაი იყოს, მარა მარტოაი თავზე დადობილი კი არ გარგა: განათლება თავში უნდა ქონდეს და შენმა შეძლების კარამითობამ რომ მოქცეს, ის მეიქეცი, თვარა რომ დეიხემო, მანდამაინც სტუდენტმა და ფილოსოფოსმა მითხუას ცოლათო, ბევრი ფული თვარ გაქ, ისე არ უნდებხარ და არ დაიჯერებ?

გუშხამ ოზურგეთს ვიყავი საუდარზე და თვალი აგიშრიალდებოდა, იმდონი წითელ-ყვითელ შაპკიანი ქალიშვილები იყო! ვიფიქრე, ყველამ თუ სტუდენტი მოინდომა ქმარათ, ქვეყანაზე რაც სტუდენტებია, აგინს დასჭირდება მეთქი. მაინც ასეა თურმე! ერთმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა: აქაური ქალიშვილებსო პაწია საქმე ეზარებიან და ამიზა დიდრვან კაცებს ეძებენ ქმარათ, უსაქმურათ გვაცხოვრებსო; მოპაწო კაცები სასაცილოთ არ უთფიან და ოზურგეთს ამიზაა ნაკლები ქორწილებიო.

დაპარაკზე მუაწია და ქე ვიტყვი ბარემდაი: აი ოზურგეთის ქალიშვილები ვერ უთფიდარიან კაი ხუღიერი იმაში, რომე კაცნები ცოდნიენ სხვაიხ. გუშიდამ ჩემი ცოცაი წვიდა ქალაქში და ატირებული მოვიდა შინ: „ბაბავ, ოზურგეთის ქალიშვილები შემხთენ გზაზე და ცინვა დამიწყეს, რაფერი ძველი შაპკა ახურავსო"! ღმერთმა კარქათ ამყოფოს ყველაი და მაგი ვერ მომიწონებია სწორეთ. შენ რომ მდიდარი იყო, მე ღარიბი და შენსავით კარქა რომ ვერ ჩევიცვა და დევიხურო, აგი რა გასაცინარია ნეტაი?! ჩვენი სოფლიერი ციცეების ბრალიც ქაა, დუუხემებიან მაინდამაინც იგინს უნდა წავბაძოთო, იგინისავით უნდა დევიკორკოტინოთ იგი ყვავის საფთხური თავზე და უკუდო კაბა უნდა ჩევიცვათო: რომ არ შეგიძლია? ნახევარს ჭადი არ გაქ შინ, იგინს რაფერ უტოლდები, ვინ დაგიჯერა? ამას ქე დეითხვე, იმიტომ რომ ბაძავენ და დიდრვანი ნასწავლ საქმროისკენ აქვენ თვალი და პაწას იჩვენებენ, ამის კუჭმა გამათავა!..

ასეა, უძახს კიეზდება ცოცაი, გათხუება უნდა, არ გაათხოვ და ან დაკავდება პაწაი, გეიტანს ნიგუზადს ნაბურაში; გაათხოვ და უფაროთ არ მიხავს არ კაცს, ფარა არ გაქ, შობა ქორწილს, აბეჭდიებ წიგნს, გითამ ხელით დაწერილი არ გარგოდეს, ამღიერებ საბეჭტავი რომ აქ ოზურგეთს იმას, პაიჯობ ცას და ქვეყანას, ყველაი ჩემსავით გამოხინკულია და იგინი ფარას მომიტანს, იმით გავისტუმრებ სიძესო. კი მარა ჩემდა აფერი არ მაქ, შენ რა მოგიტანო, ერთი მითხარი? არ მეტანს და უძახი გამარჯობას კიდარ გიხიდა მერე!

ორი ათასი მარგალიტი ვიცი, რომე უძახმა საჭმელის ფულიც ვერ გაასწორა მისმა დაპაიჯებულმა ფარა რომ მეეტანა იმით, არამც თუ მორჩენოდა რამე, თლა ჩეიშრა ვალში! მაინც რომ არ დეითხვენ? ყველაი ფიქრობს, იმას არ მეეუგდა, მე მომიყვა, ყველაი შობა ქორწილს, ყველას გაგუძრა ტყავი და ჩვენი ფარით ვინცხა გაჭრებმა რომ ჯობი გეიფრინო? აგი ვერ მივახთიე ვერ კაცს და ქე გიყვებით ასე!

ხანდიხან ნამეტარი დაჯავრიანებული რომ ხარ კაცი, მასხრობაც ქე მოგინდება და მეც ვიტყვი ერთს: რომ იზამდენ ჩვენი ქალიშვილები და თუ უფაროთ არ წეიყვანს ვინმე, ისე არ გათხოვდებოდენ, კაი კი იქნება, იცი? მარა... ახლა ქე გმარა, ამ ჩემ ამბავს ქე გაგათავებ. ეგებ კარქათ ვერ გითქვი და აბდღურიც-კი გამიურიე, მარა მე მეტი არ ვიცოდი და სხვაი, ვინც უკეთესათ იცის, იმან თქვას...

უძახი გიტოიე ტაკიძე.

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად.

ვინ სძლია?

(მოთხრობა მ. ლ. დე-ვალდენისა)

კარავალის მეფობის დროს რომში სცხოვრობდა მდიდარი და გამოჩენილი პატრიცი კაი ტუდს აგრიპპა. იმას ეკუთვნოდა იტალიის სხვა-და-სხვა ადგილებში მდებარე ვრცელი პამულები და საუცხოვო ბადები დედა ქალაქთან. იმისი სასახლე რომში მდიდრულისა, დიდებულის და საჩინო შეხედულებით ყველა სხვა სასახლისაგან გაირჩეოდა. სასახლეს ირგვლივ მარმარილოს შადრევნებითა და აუზებით სავსე ბაღი ერტყა. შიგ სასახლეში ჩუქურთმიან სვეტებს შორის იდგა ძვირფასი ქანდაკებანი და ლარნაკები სურნელოვან მარსინით, დაფნებით, და ფართო ფოთლიან კაკტუსებით.

მაგრამ აგრიპპა იშვიათად იმყოფებოდა სახლში, რადგან უმეტესად ბარბაროსებთან ბრძოლაში ატარებდა დროს და ყოველ-მხრიდან შემოსეულ მტრებს უგერებდა რომის იმპერიას.

აგრიპპა უროკო ცხოვრებას ატარებდა და თავისუფლების დროს ეძლეოდა ყოველგვარ მგრძნობიარე სიამოვნებას, რასაც-კი ჰპოვებდა სატახტო ქალაქი. მოსძულდებოდა რა ესენი, კვლავ ომში გასწევდა და იქ ეძიებდა ახალ შთაბეჭდილებებს და დიდებას.

ამ კაცის ხასიათში ერთ და იმავე დროს მოთავსებული იყო ორი მოპირდაპირე თვისება,— იგი კეთილიც იყო და სასტიკიც იმისდა მიხედვით, თუ რა გუნებაზედ იყო.

ერთხელ ლეგიონებთან ბრძოლით ძლევამოსილმა აგრიპპამ ჩამოიყვანა რომში სხვა ტყვეებთან ერთი შეუდარებელ სილამაზის და აგებულების ჭაბუკი.

როდესაც ხელებ-შეკრული ახალგაზდა ლიგელი მძლეველის საზეიმო ეტლს უკან მისდევდა, სათვალ სეირად შეკრებილი საზოგადოება განცვიფრებაში მოდიოდა იმის თითქო ხელოვნურად გამოქანდაკებულ ტანადობისა და საკვირველად სწორ სახის ნაკვთებისაგან.

ბევრნი გაშტერებით უცქეროდნენ ზღაპრულ სილამაზის მქონე ადამიანს. ბევრი მანდილოსნის ყურადღება მიიპყრო ამ ჭაბუკმა; სიამოვნებით თვალები ვერ მოეშორებინათ.

ჭაბუკი მოსული და წამოსადეგი ემაწვილი იყო. გრძელი დია ფერის თმა მხრებზედ სცემდა. რაღაც ჩაფიქრებული, ლმობიერი და მასთან კეთილშობილური და მედიდური სახე ჰქონდა.

იგი წინ მიუძღოდა ტყვეებს და ყველასაგან

ოლიციის მე-9 ნაწილის მცხოვრებმა უხაგოვმა პოლიციას გამოუცხადა, 8 ნოემბერ 15 წლის ვაჟი ნიკოლოზ სუხაჩევი სადღაც გავ და დაიკარგაო.

◆ გორის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ოქტომბრის მეორე ნახევარში: 1. ცხინვალის ნაწილის გამომძიებელს თავი მოუკლავს; 2. ქ. გორში სოფ. დუჩის (დაღესტნის ოლქი) მცხოვრებმა მეხანჯლე ლეკმა ჰაჯი-ბუთა-ნალილ-ბეგ-ოღლიმ გაუფთხილებლობით რევოლვერი მოირტყა თავში და სასიკვდილოდ დაიჭრა; 3. სოფ. მეჯვრისხევში ვასილ ჩუბინაშვილმა არჩილ ჩუბინაშვილს თოფი ესროლა და მძიმედ დასჭრა; 4. სოფ. ტროეხვის მცხოვრებმა მიხეილ მანჯიკაშვილმა სასიკვდილოდ დასჭრა თავში ხანჯლით თავისივე ერთ სოფლელი ალექსანდრე ფილიაშვილი; 5. სოფ. მეჯვრისხევში ნიკოლოზ ქოდალაშვილმა ხანჯლით თავში მძიმედ დასჭრა შიო ხუროშვილი; 6. სოფ. მეჯვრისხევში ლუარსაბ თულაშვილმა მთვრალმა რევოლვერი ესროლა თავის ერთ სოფლელს ანტონ მკელაძეს, მაგრამ ვერ მოარტყა; 7. სოფ. ფლავში გრიგოლ ერისთავი, გიორგი უთნელაშვილი და სხვანი თავს დაესხნენ სოფ. კლივანის გლეხებს ზურაბ მელაძეს, რაჟდენ, თელა, დიმიტრი, კუჯახ და როსებ კარქიშვილებს, წაიღეს ლალა და წაიყვანეს საქონელი; 8. სოფ. სკრაში ფრიდონოვის ბაღში ორჯელ ზედი-ზედ რევოლვერი ესროლეს ფრიდონოვის მოურავს ბალაბუშკას. ერთი ტყვია მოხვდა ბეჭში, ხოლო მეორე ხერხემალში; 9. სოფ. ხელთუბანში ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდა 24 ურემ თივას და სულ გადუბუგა; 10. სოფ. ნაგოზაში სანდრო ბედოშვილის სარჩო-საბადებლით სავსე საბძელს ცეცხლი გაუჩნდა; ზარალი 900 მანეთისაა; 11. სოფ. იტრიულში თოლო ჩოჩიშვილის საბძელს, თივას, და სიმინდს დიდი ცეცხლი გაუჩნდა; ზარალი 430 მანეთისაა; 12. სოფ. ცემსა და ნიკოლაევსკის შუა თავს დაესხნენ შეიარაღებული ყაჩაღები აკულინა ბეგუნოვისას და გაქურდეს; ერთი ქურდი სოფ. გალათუბნის (შორაპნის მაზრა) მცხოვრები ლუკა გალბაშიძე აღმოჩნდა.

ქალაქის საქმეები

8 ნოემბერი

ყოვლად უნაყოფო, უსაქმური სხდომა ბევრი გვინახავს, მაგრამ ასეთი კი არა, როგორიც რია ნოემბრის საბჭოს სხდომა იყო.

რკინის გზის სამმართველოს ნავთლუხის სადგურის გასადიდებლად გამოუთხოვია უმაღლესი ბრძანება, რომ ამ საქმისათვის საჭირო ადგილი ქალაქს ჩამოერთვასო. ეს 1901 წლის საქმეა და „ჩამორთმევა“ უკვე სისრულეში მოუყვანიათ... უკაცრავად, გამგეობის წევრი ენფიანჯიანცი თავისებურის მჭერმეტყველებით ამტკიცებდა, რომ ჯერ არ ასრულებულა ეს უმაღლესი ბრძანებაო. მაგრამ როგორც სხვებმა ახსნეს, საქმე გათავებული უნდა იყოს. ეხლა, რკინის გზას ესაჭიროება ნავთის მილის გაყვანა იმავ რაიონში და საქმესაც შესდგომიან ქალაქის დაუკითხავად. გამგეობა და ბ. ენფიანჯიანცი ამტკიცებენ—ნავთის მილი ჩამორთმეულ ადგილში არის გაყვანილიო, ხმ. მირზოევი და სხვები კი დიამეტრალურად წინააღმდეგს ამბობენ—ქალაქის ადგილში დაიწყო რკინის გზამ მუშაობა და პასუხი მოვთხოვოთ კანონის დარღვევისათვისო. მთელი ორი საათი ილაპარაკეს ამ საგანზე, ყველა მოიქანცა და მაინც საქმის ვერა გაიგეს-რა. ბოლოს ხმ. ხატისოვმა სთხოვა თავმჯდომარეს—გამაგებინეთ რაზე არის ლაპარაკი? მე არაფერი მესმისო; ბ. ენფიანჯიანმაც წამოიძახა—არც მე გამეგება რამეო. ამას სიცილი მოჰყვა, სიცილს ისევ გაცხა-

, ძლივს დაად-
, რკინის გზის
ე და ეს წარმო-
როგორც ხმ.-იურისტების საგანგებო ისია ურჩევს. საქმე არჩევანზე მიდგა და ისევ დიდი აურ-ზაური ასტყდა. „ახალგაზდების“ პარტია მოწადინებული იყო ისევ ენფიანჯიანცი ყოფილიყო ამ წარმომადგენლად, არშაკ ბაბოვი და ალ. არღუთინსკი მირზოევს ასახელებდნენ, რადგან ის იყო მთელის საქმის „გამომჟღავნებელი“. ბ. ენფიანჯიანცი ჯერ დასთანხმდა ყუთის დადგმაზე, მერე კი... ილტოლვა და ამოირჩიეს მირზოევი.

ორის წლის წინად დიდუბეში დიდი ცეცხლი გაჩნდა და ორი სახლი გადაიბუგა, არც ერთი კრანი არ ყოფილა წყლისა მთელს დიდუბეში და ხმ. კარამურზას წინადადებით, ქალაქმა ფული გადასდო კრანების დასადგმელად, მაგრამ ფული აქამდე დაუხარჯავია და დიდუბეში არც დღეს არის კრანები.

მადლი და საქმიანობა მოსთხოვე ამისთანა ხალხს!

მებაღე გელიაშვილ, რომელსაც დიდი ხანი უმსახურნია ქალაქის ბაღში, დაუნიშნეს 180 მანეთი პენსია.

ბუხჰალტერის თანაშემწე სურგუნოვი სამსახურს თავს ანებებს, ავადმყოფობის გამო, და საბჭომ 400 მ. შემწეობა გადაუწყვიტა.

პრესსა

საერო განათლების სამინისტროს ჟურნალში გადაჭრით გამოთქმულია ის აზრი, რომ რუსეთში მცხოვრებ უცხო ტომთა სკოლებში სწავლება სახელმწიფო, ე. ი. რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდესო. ჟურნალის აზრით, ამნაირად უნდა გაერთიანებულ იქნან რუსეთში მცხოვრებნი სხვა-და-სხვა ერნი, რუსეთს უნდა შეესისხლხორცონო. დაკანონდება ეგრედ წოდებული მუნჯური მეთოდი, რადგან ხალხისათვის გაუგებარ ენაზე სწავლება მუნჯურ მეთოდს უდრის. დღესავით ცხადია, რომ მუნჯურ მეთოდს ხალხი ყრუდ დაუხვდება; ამ სისტემის შემოღება-დაკანონებას გაერთიანება-კი არა, განხეთქილება მოჰყვება, რადგან ადამიანთა გამაერთიანებელი მათ შორის კავშირის ჩამომგდები ენა არის, სიტყვებით გამოთქმული აზრი და არა გაუგებრობა. როცა მუნჯი ყრუს ასწავლის, ვერც ერთი ვერაფერს ვერ გახდება: ბოლოს და ბოლოს მუნჯ მასწავლებელს—სწავლება და ყრუ მოსწავლეს სწავლა შეზიზღდება და მათ შორის ერთობისა და კავშირის მაგიერ განხეთქილება დაიბადება. ჩვენგან გამოთქმულ აზრს ეთანხმება გაზ. „რუს“-ი და ამბობს, რომ საერო განათლების სამინისტროს ჟურნალის მიერ გამოთქმული აზრი ყოვლად შეუწყნარებელია. ჩვენ იმის წინააღმდეგნი არა ვართ,—ამბობს გაზეთი,—რომ რუსეთის სკოლებში რუსული ენა უნდა ასწავლონ, მხოლოდ იმ ენაზე სწავლება, რომელიც ბავშვს არ ესმის, უსაფუძვლოდ ძალ-დონის დახარჯვას ნიშნავს. ბევრიც რომ ეცადოს მასწავლებელი, ვერ მიაღწევს საწადელს და თვით საქმეს ავნებს და გააქარწყლებსო. აზრის შებოჭვა ჭეშმარიტების შებოჭვასა და სიყალბის, სიცრუის გამეფებას ნიშნავს, ყალბი აზრი-კი ყალბი ფულივით ბოლოსდაბოლოს კოტრობას გამოიწვევს. იგი რყვნის როგორც ამ ყალბი აზრების ამომჩერელთ, ისე იმ ხალხსაც, რომელშიაც ამგვარი აზრი ვრცელდება. თავისუფალ, დამოუკიდებელ ადამიანს მხოლოდ პირ-და-პირი, თავისუფალი აზრი შექმნის ხოლმე. ყრუდ გამოთქმული ყრუდვე ხვდება ადამიანის გულსა და გონებას, ვერ გაუღვიძებს უმაღლეს მისწრაფებას, წმინდა ფიქრებსა და წადილს. მხდალად, შიშით გამოთქმული აზრი შიშსა ჰგვრის ხალხს, ვერ აღზრდის, ვერ გამოიწვევს ნამდვილ სიმამაცეს, არამედ სულით ამდაბლებს, ძირს უთხრის ადამიანის ღირსებასა და კაცობრიულ გრძნობას.

ყველა ეს ფიქრები დაგვებადა „ს.-პეტ. ვედ.“-ში დაბეჭდილ ერთის წერილის გამო, რომელშიაც ნათლად გამოთქმულია, თუ რას ნიშნავს ადამიანისათვის თავისუფალი სიტყვა, თავისუფალი აზრი. ამ წერილში ავტორი ამბობს, როგორ გასწორდა იგი წელში, როცა თავისუფალ, ჭეშმარიტ აზრს მოჰკრა ყური, როგორ გაუღვიძა ამ სიტყვებმა რწმენა და იმედი და გაუმხილა ადამიანის ცხოვრების მნიშვნელობა ამ წუთისოფელში.

თეატრი

ბაქო. 6 ოქტომბერს ქართულ თეატრის მსახიობმა ქ-ნმა ეფ. მესხმა და ბ-ნმა ივ. ბარველმა სცენის მოყვარეთა დახმარებით გამართეს ბაქოში ქართული წარმოდგენა. წარმოადგინეს „და-ძმა“ გ. გუნიასი. ამ, ვითომდა ისტორიულ, დრამის ღირსების შესახებ, ჩვენ არას ვიტყვით, რადგან ბევრჯელ თქმულა ქართულ გაზეთებში. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ წარმოდგენის დროს ბევრისაგან გავიგონეთ: „საკვირველია, ამ პიესაზე უკეთესი ვერაფერი ამოურჩევიათ არტისტებს ბაქოში წარმოსადგენადაო“! ქ-ნმა მესხმა ჩვეულებრივ მშვენივრად ჩაატარა მარინეს როლი თავიდან ბოლომდის, და საზოგადოებაც აღტაცებით მიაგება იმას თამაშს. რიგიანად ასრულებდა ოტია ჯოდიას როლს ბ-ნი თადაკვაძე და გაიოზ ფალავასას—ბ-ნი ივერიელი, მხოლოდ, სამწუხაროდ, არც წარმოსადეგობითა და არც ჩაცმულობით არც ერთი არა გვანდა სამეგრელოს უწინდელ თავადებს. სხვა სცენის მოყვარენიც ხელს უწყობდნენ უმთავრესს როლების წარმომადგენლებს, მაგრამ მათ შორის ყველას სჯობდა ქუჩუ ადამიას როლში ბ-ნი გამოურკვეველი, ფარაგ-ფაშა, ყარა-თადე და ჯან-ვერდი, ჩაცმულობით აბანოს მექისეებს უფრო ჰგვანდნენ, ვიდრე დიდებულ ხვანთქარის წარმომადგენლებს!

ხალხი წარმოდგენას იმდენი დაესწრო, რომ აქაური არტისტიულ საზოგადოების დარბაზი გაჭედილი იყო და, ალბად, შემოსავალიც კარგი იქმნებოდა.

გ. წყალტუბელი.

რუსეთის ქრონიკა

◆ გაზ. „ნოვოსტი დნ.“-ს ტელეფონით აუწყებენ პეტერბურგიდან, ნამდვილად შევიტყეთ, რომ მალე უნდა შეუდგნენ ერობის შესახებ დებულების განხილვასაო. განზრახვა აქვს გააფართოვონ ერობის მოქმედების ასპარეზი, მეტი უფლება და დამოუკიდებლობა მიანიჭონ ერობას. პროექტით, ერობას მეტ უფლებას მიანიჭებენ, ვიდრე **1864** წლის საერობო დებულებაშია აღნიშნულიო.

◆ **17** ნოემბერს პეტერბურგში მოხდება კრება სამოსამართლო პალატების უფროს თავმჯდომარეთა და ბრალმდებელთა, რომელთაც, იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით, უნდა განიხილონ საკითხი სასამართლოში ახალ სისხლის სამართლის დებულების იმ ნაწილის შემოღების შესახებ, რომელიც პოლიტიკურ დამნაშავეთ ეხება.

◆ ჟიტომირის სასამართლოში ირჩევა საყურადღებო საქმე ადგილობრივ ბრანდმეისტერის (ცეცხლის მქრობელი რაზმის უფროსის) შესახებ, რომელიც პოლიციაში მსახურებდა და სამსახურის დროს მრავალი დანაშაული ჩაიდინა. ქალაქის მეეტლეები კანკალებდნენ ამ ძლიერ ვაჟბატონის წინაშე, რომელსაც პოლიცია მფარველობდა. იგი ხშირად, სულ უბრალო მიზეზისათვის, აჯარიმებდა მეეტლეებს, პოლიციის ეზოში დაამწყვდევდა და უწყალოდ სცემდა. ოსიპოვს შეთქმულობა ჰქონდა სახლის პატრონებთან, რომელნიც განზრახ სწვავდნენ დაზღვეულ სახლებს პრემიის მისაღებად. ოსიპოვმა წინ-დაწინ იცოდა ყველა ეს და, სანამ ცეცხლი არ გაძლიერდებოდა, არ მიჰყავდა მქრობელი რაზმი, რათა ცეცხლს გაექრო ბოროტ-მოქმედების ნიშნები.

◆ ბერდიჩევის მთელი საზოგადოება აღელვა ამ ბოლო დროს მომხდარმა საზიზღარმა ბოროტ-მოქმედებამ. ადგილობრივმა ორმა პოლიციელმა ღამე ხელში ჩაიგდეს ქუჩაში ერთი ახალგაზდა ებრაელი ქალი, პოლიციაში შეათრიეს, დაამწყვდიეს და გააუპატიურეს. გამომძიებმა აღმოაჩინა პოლიციელთა ბოროტ-მოქმედება და საქმე სასამართლოს გადაეცა.

◆ „პრავო“ იუწყება, რომ განსვენებულ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სამსახურიდან დათხოვნილ კურსკის საგუბერნიო ერობის მოსამსახურეთ, ბერნაშევსკისა და კალისტრატოვს, ისევ მიეცათ უფლება ერობაში იმსახურონ. დააბრუნეს აგრეთვე ერობის მდივანი ზვიაგინცევი, საერობო წიგნების საწყობის გამგე სიტინი და კიდევ რამდენიმე კაცი, რომელნიც პლევეს განკარგულებით დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან, რადგან პროტესტი გამოაცხადეს ამხანაგების დათხოვნის გამო.

◆ პეტერბურგში ამ მოკლე ხანში გამოვა განახლებული გაზ. „ნედელია“ და ყოველ-დღიური გაზეთი სომხურ ენაზე.

◆ ციმბირიდან იუწყებიან, რომ რუსეთ-იაპონიის ომმა დიდ გაჭირვებაში ჩააგდო ციმბირის დაბა-ქალაქები. ომსკში ნავთი ოქროს ფასადაა და მცხოვრებლები ქონის სანთლებით ანათებენ სახლებს. ტომსკში და სხვა ქალაქებშიაც მეტად გაძვირდა ყოველნაირი საქონელი. ციმბირის რკინის გზა ჯარების გადაყვანას და სამხედრო სურსათის და მასალის გადაზიდვას უნდება. ისეთი ქსატობაა ყველგან, რომ კერძო დაწესებულებებში მყოფ მოსამსახურეთ მთელი თვეობით არ აძლევენ თურმე ჯამაგირს.

◆ ხარკოვიდან იწერებიან დაწვრილებით ამბავს იქ მომხდარ აფეთქების შესახებ. სათეატრო ბაღში, პუშკინის ძეგლის ახლოს, მძლავრი აფეთქება მოხდა, რომლის ხმა ქალაქის შორეულ ადგილებშიაც გაისმა. ახლო-მახლო სახლებში ფანჯრები დაიმსხვრა. სადაც აფეთქება იყო, მიწაში საკმაოდ დიდი ორმო გაჩნდა. რადგან ეს ამბავი ღამე მოხდა და ახლოს გამვლელი არავინ ყოფილა, კაცთაგან არავინ დაზიანებულა. პუშკინის ძეგლის კვარცხლბეკის ერთი საფეხური გამსკდარა. ბაღში იპოვეს ყუმბარიდან ამოვარდნილი ჩანგალი, რაიცა მოწმობს, რომ ყუმბარა მძლავრ მფეთქავ მასალით იყო გატენილი.

◆ ბ. რიაბოშაპკის მიუმართავს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის შუამდგომლობით, რათა ნება მისცეს გამოსცეს ყოველ-კვირეული ჟურნალი მალოროსიულ ენაზე. უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ეს უკვე მეხუთე თხოვნაა მალოროსიულ ენაზე ჟურნალ-გაზეთების გამოცემის შესახებ.

◆ რუსეთის გაზეთების სიტყვით, ერთი ფინლიანდელი ქალი, რომელსაც სამეურნეო განათლება მიუღია, პოვენეცის ერობას მიუწვევია სამაზრო აგრონომის ადგილზე. გუბერნატორს უკვე დაუმტკიცებია ეს ქალი ახალ თანამდებობაზე.

წერილები

კავკავი. მიძინებული კავკავი ელექტრონის ტრამვაიმ გამოაღვიძა და სიცოცხლის ელფერი დაეტყო ქალაქს. ტრამვაით კავკავში მგზავრობა არც ძვირადა ღირს, 4—5 ვერსს ერთ შაურად გაგარბენინებთ. რაც ტრამვაის მოძრაობა დაიწყო, ქუჩებსაც მეტი ყურადღება მიაქციეს. ამავე ელექტრონით ძალით ანათებენ ზოგიერთ ქუჩებსა და სახლებს. ერთის სიტყვით, ელექტრონის ტრამვაიმ კავკავი ქალაქს დაამსგავსა. წინად უფრო მოზრდილ დაბას ემსგავსებოდა. სიარულის დროს ვაგონი დიდ ხმას უშვებს, რომ უბედურება არა მოხდეს-რა. მაგრამ

განირჩევდა ვაჟკაცურ შეხედულებით, კოხტა სიარულითა და შესამჩნევ ძვირფას ტანსაცმელით. ლიგიელი დროგამოშვებით მძულვარებით გადახედავდა ხოლმე საცქერად შეკრებილ ბრბოს, ხანდახან დაღვრემილის სახით თვალს გადაავლებდა გზებზედ მდგომ პირდაღებულ მაყურებლებს.

ამნაირად დიდის ამბით შევიდნენ მეფის უძველეს სასახლეში.

იმპერატორმა მოწყალედ მიიღო აგრიპპა და მალე ტყვეებით და დიდძალის სიმდიდრით დასაჩუქრებული სახლში გაისტუმრა.

სხვათა შორის, თვალწარმტაცად სილამაზე ტყვეც იმან წაიყვანა.

აგრიპპა დაბრუნდა თავის სასახლეში და უბძანა მონობისაგან განთავისუფლებულს თავის მოურავს ვიფინეც სარკონს, მოეყვანა ის მოხდენილი უმაწვილი. სარკონმა ბრძანება შეასრულა. აგრიპპამ უთხრა ლიგიელს:

— ცეზარის ბრძანებით შენ დღეიდან მე მეკუთვნი და შენი ბედი ჩემ ხელთ არის. თუ ჩემი ერთგული მოსამსახურე იქმნები, მე შეგიმსუბუქებ მძიმე ხვედრს.

— თუმცა მე შენი ტყვე ვარ, მაგრამ მოსამსახურობას ვერასოდეს ვერ გკადრებ,—თამამად მიუგო ლიგიელმა,—რადგან მე თავისუფლებას ვარ ჩვეული.

— შენ მაგრე ფიქრობ?—ჰკითხა წარბებ შეჭმუხნილმა და განრისხებულმა აგრიპპამ.

— დიახ,—მტკიცედ მიუგო იმან.

— გაროზგეთ ეგ და მანამდის ამოფეთ ჯურღმულში, სანამ ჭკუაზე არ მოვა და არ დამმორჩილდება!—დაუყვირა გაბრაზებულმა პატრიცმა სარკონს.

მოურავმა უცვლელად შეასრულა ბატონის ბრძანება.

ჭაბუკი ჯურღმულში დაამწყვდიეს, იქ დღისით ოდნავ შეჰბჟუტავდა ხოლმე სუსტი სინათლე. საზიზღრად საშინლად ბნელოდა, სამარისებური სიჩუმე იდგა და ნოტიო იყო.

სარკონის განკარგულებით პატიმარს ერთი მონა უზიდავდა საჭმელს, გამხმარ პურსა და წყალს.

ტყვე პირველ ხანს გალიაში შომწყვდეულ მხეცსავით შფოთავდა, მაგრამ შემდეგ გარეგნულად თითქო დაცხრა და ხშირად დიდხნობით ღრმა ფიქრებში გართული ქვაზედ იჯდა. ტყვეობამ და ტანჯვამ შეასუსტა ლიგიელი და ნელ-ნელა ძალა გამოაცალა. იმის ნაზს დაწითლებულ ლოყებს ფერი მიაკლდა, მოცისფერო ნაფიქრაბული თვალები ჩაუვარდა და წინანდელი სიცოცხლე დაეკარგა.

სარკონი დროგამოშვებით ინახულებდა ხოლმე, გულის სიღრმეში კიდეც ებრალებოდა და ყოველთვის ურჩევდა დამორჩილებოდა თავის ბედს.

— შეუპოვრობითა და დაჟინებით უფრო გაიფუჭებ შენს მდგომარეობას,—ეუბნებოდა ეგოფილი მონა.—თუ დამორჩილდები, მაშინ ბატონი მოწყალებაზედ შესცვლის თავის მრისხანებას.

— მე თავისუფალი კაცი ვარ და ჩემ სიცოცხლეში არ დავეთანხმები მონად გიქცე,—მიუგო ლიგიელმა.

— მაგრე ხომ დაიღუპები, მაშინ როდესაც შენზედ არის დამოკიდებული შენი ბედი.

— რაც უნდა საშინელი იყოს ჩემი ბედი, მე არა მსურს დამცირებით შევიმსუბუქო იგი.

ვიფინეცი ხან ურჩევდა და ხან სიკვდილით ემუქრებოდა, მაგრამ ყოველივე ამაო იყო.

განვლო დრომ. აგრიპპამ დაიბარა სარკონი და ჰკითხა:

— რას შვრება ის ბარბაროსი? ვიმედოვნებ, რომ ჭკუაზედ მოვიდოდა. ალბად, ახლა მზად არის შეურიგდეს თავის ბედს?

— არა, ბატონო, ჭაბუკი მტკიცედ სდგას თავის გადაწყვეტილებაზედ და დაჟინებით ურჩეობს შენ მონობას.

— მეც მტკიცე გიქმნები,—წაილაპარაკა აგრიპპამ.—ორ დღეში ერთხელ მიუტანეთ პური და წყალი.

დღედღეს მისდევდა, მაგრამ ბარბაროსი სულაც არ შერყეულა.

საპყრობილეს გარედ სიცოცხლე სდუღდა, ხანდახან იმის სმენამდის მიაღწევდა ხოლმე სუსტი ხმები და გულს ლახვარივით ესობოდა.

ახალგაზდა ლიგიელი ღრმა მწუხარებით იგონებდა სამშობლო მხარეს, რომელსაც ბოროტმა და ულმობელმა ბედმა მოსწყვიტა.

ღამე ძილში ხშირად ესიზმრებოდა ნაცნობი დაბურული ტყეები, დათვებსა და ჯიხვებზე ნადირობა, სისხლის დვრა მტრებთან ბრძოლაში, ქეიფი და მხიარულება ბრძოლის ველზედ და ხმაურიანი ასპარეზობა გმირების საფლავებზედ, ესიზმრებოდა თავის ქვეყნის მდინარეები და ტბები, სადაც გვებერთელა ხეები იზრდებოდა, ხოლო ზევით მაღლა ცაში დაჰყურებდნენ არწივები და ძერები; ეჩვენებოდა ღრმა ხევები, სადაც შუაღამისას იკრიბებიან მკრთალი აჩრდილები ოდესმე ბრძოლაში დაკარგულ გმირებისა.

ხანდახან გამოფხიზლებისას ჭაბუკის სმენას ატკბობდა ქნარის და ჩანგის სასიამოვნო ხმები: აგრიპპა ლხინობდა და სუსტი ხმები ძლივს ატანდა საპყრობილის სქელ კედლებს. ნახევრად სიზმარში მყოფ უმაწვილს ესმოდა ტკბილი ხმები, რაც უორკეცებდა ძილში ნახულ სიამოვნებას. აგონდებოდა ხალხის სიმღერები. ეს სუსტი და ნაზი ხმები ტყვეს შორეულ სამშობლოში სიმღერად ეჩვენებოდა. ამ ხმებში ჭაბუკს ესმოდა ნაცნობ ტყეში ფოთლების ნაზი შრიალი, დრეში ბუჩქებ შორის გრილ ნაკადულის ჩქრიალი და მცხუნვარე მზის სხივების ახლო ტოროლას გალობა.

თავის სამშობლოს მოშორებით შეწუხებული, დახშულ ჰაერში ყოფნით დაუძლურებული და მშიერ-მწყურვალი ჭაბუკი წყნარად ჰქრებოდა, ვით ლამპარი, რომელშიაც ზეთი ჩაშრება, მაგრამ სულიერად არწივს ემსგავსებოდა და მონობას სიკვდილს ამჯობინებდა.

ახალგაზდა ლიგიელი ეხლა უკვე მზად იყო მომკვდარიყო და გულში ხშირად იწვევდა ბოროტ სიკვდილს. სიკვდილმაც თითქოს ისმინა იმისი ვედრება.

ლიგიელი მძიმედ დაავადმყოფდა და უძრავად იწვა ქვის სვეტთან. თვალები დახუჭულიდა, ხშირად ბოდავდა და ხანდახან ვიღაცს სახელს წამოიძახებდა ხოლმე.

სწორედ ამ დროს აგრიპპას გაახსენდა ახალგაზდა ბარბაროსი და უბრძანა სარკონს, მასთან მოეყვანა ტყვე.

ვიფინეცმა მონები იახლა და ჯურღმულში ჩავიდა. აქ დაინახა უგრძნობლად მიწაზედ დაგდებული ბარბაროსი, გულსატკენმა ძირს დახარა თავი და, ცოტა ფიქრის შემდეგ, უთხრა იქ მყოფთ:

— აწიეთ ავადმყოფი, საკაცეზე დადეთ და საჩქაროდ გარედ გაიყვანეთ; იქნებ სუფთა ჰაერზე მობრუნდეს.

მონებმა ავადმყოფი მალე ჭანდრებიან ეზოში მიიყვანეს.

ნათელი მზიანი დღე იდგა. ლაჟვარდ ცაზედ აქა-იქ თუ შეამჩნევდით პაწაწინა თეთრ ღრუბელს. წყნარი სიო ჰქროდა და ნაზად არხევდა ხის შტოებს, ოდნავ მოსცურავდა მარსინებისა და ვარდების ბუჩქებზედ და სუსტის ზვირთებით გადირბენდა სუმბულით, ნარცისებითა და იასამნით შემორკულ ბილიკებზედ.

მზის სხივები მხიარულად ანათებდა დიდებულ სასახლეს, მაღალ, ჩუქურთმიან სვეტებს და შუა ეზოში მაცემცემე მარმარილოს შადრევანს. ხის ტოტებში გავლილი მზის სხივები ოქროს ფერად თამაშობდნენ მიწაზედ.

აგრიპპა, სპეტაკ წითელ არშიან ტოგაში გამოწყობილი ჭანდრის ჩრდილზე ტყავით დაფენილ სკამზედ იჯდა, მტრედის ფერ ცაზედ წყნარად მცურავ თეთრ ღრუბელს მისჩერებოდა და ჩუმ ფიქრებს მისცემოდა. იმის სახეზედ ნაღველს თავისი ბეჭედი დაესვა. ამ სახეს სიცოცხლით მოქანცვა ეტყობოდა. ბოლო დროს ბევრი უსიამოვნება გამოიარა. ცეზარმა თავისი მოწყალება მოაკლო, მეგობრებზედ გული გაუტყდა და დასასრულ დაჰკარგა ერთად-ერთი შვილი, რომელიც ტყვეობაში მოკვდა. ყველა ეს მწარე ნაღვლითა და კაეშნით უვსებდა სულსა და გულს და ცხოვრება მოსძულდა.

ახლა აგრიპპა რადაცის განსჭვრეტაში იყო და თითქმის არც ესმოდა ფანდურების ხმები, რომლებზედაც ხის ტოტებს ამოფარებული ტყვე ქალები უკრავდნენ; იმათ სურდათ დაეტკბოთ ძლიერის პატრიცის სმენა.

უცბად ეზოში ღრიანცელი გაისმა და ერთ წამში სარკონი თავის მხლებლებით გამოჩნდა. იმათ ფრთხილად საკაცით მოჰქონდათ ახალგაზდა ლიგიელი. ტყვეს სიკვდილის ფერი ედო და თვალებ დახუჭული უძრავად იწვა.

ვიფინეცმა უბრძანა მონებს პატრიცის მახლობლად დაედგათ საკაცე, შემდეგ თვითონ მიუახლოვდა, მორიდებით თავი დაუკრა და მოახსენა:

— უფალო! შენი ბრძანება აღსრულებულია, ბარბაროსი შენს წინაშეა, მაგრამ ვაი, რომ უკვე ჰკვდება.

ამ სიტყვებმა აგრიპპა გამოაფხიზლა. იმან გადაისვა სახეზედ ხელი, თითქო უნდოდა განეფანტა ფიქრები, და გაკვირვებით გამოჰკითხა:

— რა სთქვი? ვინა ჰკვდება?

— ტყვე ლიგიელი, რომლის მოყვანაც შენ გვიბრძანე. არც ჩემმა რჩევამ და არც მუქარამ იმაზედ არ იმოქმედა. და აი ეხლა იმის დღენი დათვლილია. ბატონო, ამდენი ხნის კაცი ვარ, მაგრამ ჯერ ასეთ მტკიცე და მხნე ადამიანს არ შევხვედრივარ.

აგრიპპამ გაკვირვებით მოუსმინა სარკონს, წამოდგა ზეზე, მივიდა ტყვესთან და დაშტერებით უცქეროდა მომაკვდავ ლიგიელს.

— რა საკვირველი კაცია!—ფიქრობდა პატრიცი.—სიცოცხლე ყველაფერზე უძვირფასესი საუნჯეა ადამიანისათვის და კაცი მზად არის უყოყმანოდ ანაცვალოს მას: სიმდიდრე, დიდება და თითქმის თავისუფლებაც. ყველა სცდილობს დიდხანს განაგრძოს თავისი სიცოცხლე; რაც უნდა საბრალო და შეურაცხყოფილი იყოს იგი, ეშინიან მიუახლოვდეს იმ ცხოვრებას, სადაც სრული მოსვენება და მყუდროებაა. ეს ჭაბუკი-კი, მიუხედავად სასტიკ წვალებისა, ვერ შეურიგდა ტყვეობას და მონობას. ის ჰკვდება სრულიად ახალგაზრდა და იმის სახეზედ შიშის აჩრდილიც-კი არ მოიპოვება, პირიქით, იმაზედ რაღაც მედიდური მშვიდობიანობა გამოიხატება. ოჰ, ნეტავი ყველა ადამიანი სულიერად ამ ბარბაროსის მსგავსი იყოს!

ამ დროს კვლავ მოისმა დროებით დაწყნარებულ ჩანგებისა და ფანდურების ჟღერა. ამ სუსტ და ნაზ საკრავების ხმებთან ერთად ტკბილ ჰარმონიით შეერთებული ფოთლების წყნარი შრიალი, ყვავილების სურნელება, შადრევნის კამკამი და ლაჟვარდ ცაზე მოთამაშე მზის სხივები განუსაზღვრელ სიამოვნებით ავსებდა გარემოს.

წმინდა და გრილი ჰაერი მოხვდა მომაკვდავის გულს. იმან წყნარად გაახილა თვალები და ეს თვალები შეჰხვდა პატრიცის თვალებს.

ლიგიელის გამოხედვაში გამოიხატა ისეთი ღრმა გამოუთქმელი ვედრება, რომ აგრიპპამ ველარ გასძლო და შემკრთალმა პირი მიიბრუნა, იმის გულში გაიღვიძა ნაზმა მამობრივმა სიბრალულმა და გულმტკივნეულობის გრძნობამ მოაგონდა ტყვეობაში დაკარგული შვილი.

ეს კეთილი გრძნობები ტალღებივით მოაწვა და მთლად მოიცვა იმისი არსება. აგრიპპას თითქო ფერი ეცვალაო, იმის გაფითრებულ სახეზე დაიბადა ახალი არა ჩვეულებრივი გამოხატულება. საშინლად აღელვებული მძიმედ სულს ითქვამდა; ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა ლიგიელს, ხელი გაუწოდა და აცახცახებულის ხმით უთხრა:

— ჭაბუკო, თავისუფლებას განიჭებ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ტყვე მთელის ტანით შეინძრა, სახეზედ მკრთალი, ჩამქრალ ცისკრის უკანასკნელ ნათელის მსგავსი სიწითლე აეგზნო, თვალები სიხარულით და თან სიძულვილით გაუბრწყინდა. იმან გაჭირვებით ცოტა ზევით წამოიწია და რადაცის თქმა განიზრახა, მაგრამ სიტყვა გაფითრებულ ტუჩებზედ შეახმა. ერთი წუთის შემდეგ თავი ჩაქინდრა, საკაცეზედ დაეშვა, ღრმად ამოიოხრა და სული განუტევა.

ეხლა ლიგიელი სრულიად თავისუფალი იყო, მას არ ამძიმებდა ბნელ საპყრობილეში ცხოვრება. უხვად აფრქვევდა სხივებს მაცოცხლებელი მზე და მხიარულად ანათებდა ქვეყნიერებას...

ტეხურის-პირელი.

ამ ხმისა გამო შინდებიან ხშირად ცხენები და ხარები, არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, რომ შებმული ცხენები და ხარები შეშინებულნი გზას იქით გადაცვივნულან და თითონაც დაშავებულან და ურმებიც გაუფუჭებიათ.

ს. შადური.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

9 ნოემბერი.

პეტერბურგი, 9 ნოემბერი. შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკი გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი დაინიშნა სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კომიტეტის წევრად.

მუკდენი, 8 ნოემბერი (საკ. კორ.). იაპონიის აგიტატორები სცდილობენ მცხოვრებლები რუსების წინააღმდეგ აამხედრონ. ბევრი მონგოლი ხუნხუზებს შეუერთდა. სინმინტინის ახლო მოქმედებს იმათი ცხენოსანი ბრბო, 1500 კაცი. ესენი იაპონიისაგან იღებენ ჯამაგირს, აგრეთვე იაპონელი აფიცრები ხელმძღვანელობენ. თავს ესხმიან უმთავრესად ქარავნებს. ჩვენს ჯარს ხუნხუზები ერიდებიან.

ხუანშანი, 8 ნოემბერი (საკ. კორ.). პოზიციებზე სრული სიწყნარეა. ვლადივოსტოკიდან მოვიდნენ უცხოელთა სამხედრო აგენტები: არგენტინისა კაპიტანი დონ-ხოზე მონოტა და ინგლისისა—კაპიტანი ეირესი.—პრინცი ნაპოლეონ მიურატი დაბრუნდა კავკასიის ბრიგადაში ხარბინიდან.

ლონდონი, 8 ნოემბერი. „რეიტერის" კორესპონდენტი ოკუს არმიიდან იუწყება დეპეშით, რომ რუსის ერთის პოლკოვნიკის ქალმა, მოწყალების დამ, მიმართა იაპონიის მხედრობას და სთხოვა მაცუიამას გაეგზავნათ, რათა იქ მოევლო ტყვედ მყოფ დაჭრილ რუსის აფიცრებისათვის. ქალის თხოვნა შეიწყნარეს.

ლონდონი, 8 ნოემბერი („რეიტერი"). ოფიციალური. ჩიფუს გავრცელებული ხმა (?) თითქო „ალლანტონ"-ი წასულიყოს ვლადივოსტოკიდან პორტ-არტურის ალყის გასარღვევად, საფუძველს მოკლებულია. ეს გემი დაქირავებულია მორრანიდან სინგაპურს ნახშირის მისატანად „ალლანტონი" სინგაპურიდან გუშინ წავიდა ნიუ-იორკს. რუსეთის მთავრობამ მისცა ნახშირის ფასი, რომელიც ამ გემზე იყო იმ დროს, როცა იგი ვლადივოსტოკის ესკადრამ დაიჭირა.

მოსკოვი, 8 ნოემბერი. ომსკის პოლკის შტაბს-კაპიტანი მოგვითხრობს ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ იკვებებოდა ჩვენი ჯარი ლიაოიანიდან მუკდენამდე; თვითეულ სოფელთან კონსერვების საწყობი იყო. ჯარი რომ მივიდოდა, ყუთებს სცლიდნენ; თუნუქის ყუთები სავსე იყო მოხარშულ ხორცითა და ბულიონით. ყველა ამას ხარშავდნენ წყალში და კარგი მსუქანი სუპი გამოდიოდა. პური ყოველ 3—4 დღეში მოსდიოდა ჯარს. საინტენდანტოდან ჩაი და შაქარი საკმაოდ იგზავნებოდა. ჯარის გამოკვება ჩინებულად სწარმოებს.

მუკდენი. (საკუთარი კორესპ.ნდ.) ყინვა ძლიერდება და 12 გრადუსამდე ადის. პოლკებს თავის დროზე ჩაჰბარდა თბილი ტანისამოსი.

ლონდონი, 9 ნოემბერი („რეიტერი"). ნიუ-იორკიდან გამოგზავნილ გუშინდელ დეპეშაში ეწერა, ლონდონში ნაყიდი კონტრ-ნაღმიანი გემი ლიბავაში ჩააბარეს მყიდველსაო. ამის თაობაზე „სტანდარდ"-ი ამბობს, ინგლისის დიდმა გემთ ამშენებელმა ქარხანამ იაროუში შეატყობინა სეკტემბერში ინგლისის საადმირალოს, რომ ვინმე სენეტომ, პარიზში მცხოვრებმა წინადადება მოგვცა ის ნაღმიანი გემი მოგვყიდეთ, ქარხნის ვერფში რომ დგასო. საადმირალომ ეს ამბავი გარეშე საქმეთა მინისტრს შეატყობინა, მინისტრმა ბრძანება გასცა, გამოძიება მოახდინეთო. გამოძიების დროს ეჭვი დაებადათ ნაღმიან გემის დანიშნულებაზე და ბრძანება გასცეს, მყიდველს აღარ ჩააბაროთ ეგ გემიო, მაგრამ ეს ბრძანება გვიან მიიღეს იმ დროს, როცა ნაღმიანი გემი ლიბავაში იყო გაგზავნილი.

ბერლინი. ხმა დადის, ინგლისის მთავრობა პრინციპიალურად დასთანხმდა ჰააგის კონფერენციის მოწვევას, მაგრამ უფლება დაიტოვა, კონფერენციის მოწვევის ვადას უფრო ზედ მიწევნით დაინიშნავ და კონფერენციის პროგრამას უფრო დაწვრილებით შევიმუშავებო. გერმანიის მთავრობამაც თანხმობა გამოაცხადა, ეგაა საქმე დაწვრილებით არ განუხილია. სახელმწიფოთა უმეტესობაც ამნაირათვე პასუხი შეუთვალა ამერიკის მთავრობას.

რომი. იტალიამაც გაუგზავნა პასუხი რუზველტს. იტალიის მთავრობა სთანხმდება წინადადებას, მაგრამ კონფერენციის ვადისა და პროგრამის შესახებ შენიშვნები ჩაურთო პასუხში.

კანეია, 8 ნოემბერი („რეიტერი"). ბალტიის ესკადრის რაზმი შორეულ აღმოსავლეთს წავიდა; ამ რაზმში არიან: ჯავშნიანი გემები: „სისოი ველიკი" და „ნავარინი" კრეისერები „სვეტლანა", „ჟემჩუგი" და „ალმაზი", ნაღმიანი გემები „პლესტიაშჩი", „ბეზუპრეჩნი", „ბედოვი", „ბრავი" და „ბუინი" და ტრანსპორტები: „იაროსლავლი", „კნიაზ გორჩაკოვი", „ვორონეჟი", „კიტაი", „ტამბოვი", „კიევი", „იუპიტერი", „მერკური" და „ვლადიმირი".

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

9 ნოემბერი

სახალინი, 9 ნოემბერი. აქ მშვიდობიანობაა. ზამთარი დადგა. ყველაფერი გაძვირდა. ერთი გირვანქა შავი პური შვიდ კაპეიკად ღირს, ბოთლი კეროსინი—30 კაპ. ერთი ყუთი სპიჩკა 3 კაპ., შაქარი გირვანქა მანეთადაა. უმაღლეს მანიფესტის ძალით ბევრი კატორგაში გაგზავნილი გაანთავისუფლეს.

ლონდონი, 9 ნოემბერი. ლიბავაში კონტრ-ნაღმიანის გემის გაყიდვის შესახებ „სტანდარტ"-ი იუწყება შემდეგს დაწვრილებითს ცნობებს. სეკტემბერში კარლოუს ფირმამ შეატყობინა საადმირალოს, რომ ვიღაცამ პარიზიდან საიდუმლოდ შეუკვეთა იმას კონტრ-ნაღმიანი გემი, თანაც შეეხვეწა, რამდენიმე გადაესხვაფერებია გემის აგებულება, რომ სპორტისათვის გამომდგარიყო. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოიკითხა პარიზში ამ გემის დანიშნულების შესახებ, კარროუს ფირმას-კი მიწერილობა გაუგზავნა ხელი აელო გემის შენებაზე. მაგრამ სადამოენო გემი ამ მიწერილობით ძალიან გვიან მიიღო და კონტრ-ნაღმიან გემის ლიბავას მიყვანა მოასწრეს.

პეტერბურგი, 9 ნოემბერი. გენერალი სახაროვი დეპეშით ატყობინებს მთავარ შტაბს 8 ნოემბერს, რომ 8 ნოემბერს ბრძოლის ველიდან ცნობა არ მოგვსვლია სამხედრო შეტაკებათა შესახებაო.—იგივე დეპეშით იუწყება 9 ნოემბერს: არც დღეს მიგვიღია ომის ველიდან შეტაკების ამბავიო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

8 ნოემბერი

ვისკი, 8 ნოემბერი. მოვიდა ვისკის გემთა საზოგადოებისათვის გერმანიაში ნაყიდი ორი მსწრაფლ-მავალი გემი.

პეტერბურგი. გარდაიცვალა საერთაშორისო ბანკის დირექტორი ადოლფ იულიევიჩი როთშტეინი.

უფა, 8 ნოემბერი. ღამე ცეცხლი გაუჩნდა და გადაიწვა წყლის მილის გალერეა. უმთავრესი მილები გასქდა. ქალაქი უწყლოდ დარჩა.

დარმშტადი. 8 ნოემბერი („ვოლფი"). დიდი ჰერცოგი ჰესენისა დაინიშნა პრინცესა ელეონორა სოლმს-ჰოჰენსოლმს-ლიხზე.

9 ნოემბერი

პეტერბურგი. დაინიშნენ შიდლოვსკი—ოლონეცკისა და დობურინი—ეკატერინოსლავის ვიცე-გუბერნატორებად.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ."-ში დაბეჭდილია სტამბოლის რუსეთის საელჩოს ანგარიში სოლუნისა და მონასტირის ვილაიეტებში რეფორმების შედეგის შესახებ. რუსეთისა და ავსტრ-უნგრეთის სამოქალაქო აგენტების ნაშრომს ნაყოფი გამოაქვს ქრისტიანე მცხოვრებლებმა შეიგნეს, რომ ამ აგენტების შუამდგომლობა სასარგებლოა. უკველ დღე ბევრ თხოვნას აძლევენ შეწუხებისა და დარღვეულ უფლებათა აღდგენის შესახებ. აგენტები სცდილობენ შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილონ ხალხის კანონიერი მოთხოვნილებანი. პირველ 6 თვის განმავლობაში ამნაირად დააკმაყოფილეს 600 თხოვნა. აგენტების სამშვიდობო მოქმედება დაბრკოლდა ქრისტიანეთა შორის არსებულ მეტოქეობის გამო; თემებს ბელადი პროპაგანდისტები აქეზებენ. გასულ ზაფხულში აგენტებს პირდაპირ ხალხთან ეჭირათ საქმე, სხვა-და-სხვა ადგილები შემოიარეს და ნამდვილად გამოარკვიეს ხალხის გაჭირვება. მის შემდეგ, რაც უცხოელი აფიცრები წამოიდგნენ ჟანდარმერიის რეფორმისათვის, ამ ქვეყნის მცხოვრებთა პირობები და საკუთრება უფრო უზრუნველ ყოფილა. ეს აფიცრები მუდამ ათვალიერებენ თავის ოლქებს და ევროპიულ კონტროლს წარმოადგენენ. ამიტომ ხალხი ჟანდარმერიას ისე უცქერის, როგორც დამცველს და არა მტერს. უცხოელ აფიცერთა რიცხვს, რომ მოუმატებენ, მათი მოქმედება უფრო ნაყოფიერი იქნება. ეს აფიცრები აუმჯობესებენ ჟანდარმერიას. ქრისტიანებს უთმობენ იქ ადგილებს და ამჟამად ქრისტიანეთ რიცხვი თითქმის 23 პროცენტია. საქალაქო პოლიციასაც აუმჯობესებენ. ველის დარაჯების დანიშვნის საქმეშიაც დიდი ცვლილება მოახდინეს. ადგილობრივ მცხოვრებთაგან 3 ათასზე მეტი დარაჯი დაინიშნა, რომელნიც უმრავლესობის სარწმუნოებას აღიარებენ. ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, ვაჭრობა ძლიერ განვითარდა. რადგან მშვიდობიანობაა, პატიება გამოუცხადეს დამნაშავეთ და სისრულეში მოიყვანეს უცხოელ აგენტების ზედამხედველობით. 2 ათას კაცამდე გაანთავისუფლეს. შესაძლებელი გახდა მაკედონიაში ექვს ათას გადასახლებულთა დაბრუნება. უკვე ამ რიცხვის სამი მეოთხედი დაბრუნდა. ამბოხების დროს დანგრეულ სახლებს აშენებენ, ოსმალეთის მთავრობის მიერ ამ საგნისათვის დანიშნულ თანხით. სცდილობენ გადასახადის აღების ახალი სისტემის შემოღება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მთავარ ინსპექტორის წინადადებით უნდა მოსპობილ იქნას იჯარის უფლებით გაცემა და გადასახადის განაწილება მიენდოს საზოგადოებათა მიერ არჩეულ კრებებს. გადასახადის რაოდენობა გამოანგარიშებულია ხუთი წლის შემოსავლის შუა რიცხვის მიხედვით. ეს გადასახადი სამი წლის განმავლობაში დარჩება და ამის გამო მცხოვრებლებს შეძლება ექნებათ გააუმჯობესონ მეურნეობა და ამ გაუმჯობესებით თვითონ ისარგებლონ. მცხოვრებთა უმრავლესობამ თანხმობა გამოაცხადა გადასახადის ახალი სისტემის მიღებაზე, რომელიც საფუძვლად დაედება გადასახადის საზოგადო რეფორმას და ამის შემდეგ უფრო განწესრიგებული იქნება ამ საქმის ფინანსიური მხარე და ბიუჯეტს სამივე ვილაიეტისათვის დანიშნული იქნება სწორი ხარჯთ-აღრიცხვა და სახაზინო თანხის ნამდვილი კონტროლი. არსებული სარევოლიუციო ორგანიზაცია აბრკოლებს ამ ქვეყანაში სრულ კეთილდღეობის დამყარებას. კომიტეტებმა დროებით იარაღი დაჰყარეს, რადგან ბოლგარია მტკიცედ მოეკიდა საქმეს და თვით მაკედონიის ხალხს მშვიდობიანობა სწყუროდა. მაგრამ კომიტეტები თავის საქმეზედ ხელს არ იღებენ და ამიტომ საჭიროა მათზე სასტიკად თვალ-ყურისა დევნა. ეგრეთვე უნდა ითქვას იმ ფარულ წინააღმდეგობის შესახებ, რომელსაც უწევს რეფორმების შესახებ ადმინისტრაცია, რადგან წინანდელივით ჯგუფები სარგებლობას მოელტვის. ოსმალეთის მთავრობისათვის სამწუხარო შედეგი მოჰყვება, თუ იგი წინააღმდეგობას გაუწევს ამ საქმეს, იმის მაგიერ რომ დახმარება გაუწიოს მშვიდობიანობის დამყარებასა და პროგრესს.

პეტერბურგი. პოლკოვნიკი იაზიკოვი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა.

ვერხნეუდინსკი. მოქალაქე ფროლოვმა 50 ათას მანეთად დაფასებული ქვის სახლი შესწირა ქალაქს სავაჟო გიმნაზიის გასამართავად.

ურმია. ინგლისის კონსულს ქალაქს გარედ ათი ქვეითი კაცი დაეცა, თოფი ესროდა და თან დაედევნა. კონსული უვნებლად დაბრუნდა შინ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 5 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე "	46,30
პარიზისაზე "	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	92
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	420
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	318½
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	270¼
5% თბილ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% თბილ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი თბილ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ	—
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87¼
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	246

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბათუმ-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ)

1) სამგზავრო 03 წ.); 2) სამგ (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავ № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   " საღამ. 5—7 "
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 "
2. ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   " საღამ. 5—9 "
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 1
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   " საღამ. 5—8 "

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ა. ყაზბეგის თხზულება არ გაეგზავნათ იმათ, ვისაც წლიური ფული მარტო გაზ. „ცნობის ფურცლის" 6 მ. 55 კ. და „ცნობის ფურცლის" და „მოამბის" 11 მ. 55 კ. არა ჰქონდათ შემოტანილი. ფულის შემოტანისთანავე პრემია გაეგზავნებათ.



СѢДЕЛЬН

СПЕЦІЯЛЫ

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣд

მიხაილოვის პრ. სახლი [illegible] ვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—7

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ნაწერები ს. მესხისა

გამოცემა ს. ფირცხალავასი

ტ. 1. ფასი 1 მან.

საწყობი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების" მაღაზიაში.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მისის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო-დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზნასი.	—	1
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	1
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	7
იგივე II და III ტომი თითო	—	6
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	8
ოთელის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	1
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	3
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	5
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	2
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	8
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა	1	

№ 4711

საღებავი

თმებისა

კაკლის ექსტრაქტისაგან.

ეს საღებავი მშვენიერია. სულ ცოტა ხანში იმ ფერს აძლევს თმას, თუნდა ჭაღარა და წითელიც იყოს, რა ფერიც სასურველია, ღია ფერიდან დაწყებული შავამდე. რაც უფრო ხშირად იხმარება ეს საღებავი, მით უფრო მუქი ხდება თმა. № 4711—ამ საღებავს, კაკლის ექსტრატისაგან დამზადებულს, შეიძლება უპირატესობა მიეცეს ყველა სხვა საღებავთან (თმის) შედარებით, რადგან იგი არავითარ მავნე ნივთიერებას არ შეიცავს.

ფერები:

შავი, ნარინჯი, წაბლის ფერი და ღია ფერი.

პატარა შუშა ღირს 1 მან. 20 კაპ.

დიდი " " 2 " — "

იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიაში

ფერდ. მიულჰენსი,

რეინის კელნში განყოფილება რიგაში.

მისის **იმპერატორებით უდიდებულესობის** კარის ვაჭარი.

(6—[illegible]—1)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში

XVII მეჩვიდმეტე წელიწადი XVII

1905 წ.

ქართული კედლის კალენდარი

გრ. ჩარკვიანისა.

კალენდარი ქართველთა, კათოლიკეთა, სომხთა, მაჰმადიანთა და ებრაელთა, საეკლესიო ცნობანი, ხმა და სახარებათა საკითხავი. შესანიშნავი მოვლენანი საქართველოს ცხოვრებიდან, ლექსები, აფორიზმები, სიტყვის მასალები და სხვა.

გარეშე პირთ შეუძლიანთ მოითხოვონ. Тифлисъ, Типографія Григорія Чарквіани, Михайловск. пр. № 65.

(3—3)

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

ბ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების ტფილისში, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.**

(0—183)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული"

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ." კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—3.22)

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ".

Дозволено цензурою, 6 ноября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ—სა"

Электроп. „Груз. Изд.—Тва"